ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## როგორია დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში




გვ.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 1 დეკემბერი, 2023 | №237 (9273) | ფასი: 80 თეთრი

# „სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციონერობა ივანიშვილთან შეთანხმებულია“



იაგო ხვიჩია: „პრეზიდენტს ბევრჯერ ჰქონდა საშუალება დაემტკიცებინა, რომ მართლა „ქართული ოცნების“ ოპოზიციაა“



გვ.2

## ნაციონალებისგან რამდენიმე ახალი პარტია გაჩნდება!



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ოცნება“ არ წარმოადგენს პოლიტიკური ინტერესების გამომხატველ ჯგუფს. ეს არის ჯგუფი, რომელიც კერძო პირის ინტერესებს გამოხატავს და იცავს“

## „უკრაინაში სიტუაცია გართულდა“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა მოახერხა ისრაელის ახალ ჰიბრიდულ ომში ჩათრევა“

„რუსეთი დაინტერესებულია ახალი საერთაშორისო კონფლიქტების გაღვივებით“



გვ.4

მოსალოდნელია თუ არა გარღვევა უკრაინის ფრონტზე?




გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „მას შემდეგ, რაც საქართველო CAREC შეუერთდა, დაახლოებით 3.000.000.000 აშშ დოლარის ინვესტიცია იქნა მობილიზებული“

### ამბები აფხაზეთის ომიდან



გვ.5

## „სოხუმის ბრძოლების დროს ჩოლოყაშვილების 6 ვაჟკაცი ერთდროულად დაიღუპა“

დაკავებულია კაცი, რომელმაც საგარეჯოში ყოფილი ცოლი დაჭრა და მისი ქმარი მოკლა





გვ.3

ვინ არის კაცი, რომელიც ყოფილ მეუღლეს და მის შვილებს რამდენიმე თვე უკანონოდ უსმენდა

1993230720223

4 ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები ეკატერინე მიქაბაძე და ეკატერინე გალდავა გახდნენ

4 „ქართულ ზეთისხილში ისეთი ახალი არომატები იპოვეს, მანამდე არც ერთ ქვეყანას რომ არ ჰქონია“

7 საქართველო სერბს ელოდება და ოლიმპიადას უმიზნებს

6 ჰამასმა კიდევ ორი რუსი მძევალი გაათავისუფლა

# „სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციონერობა ივანიშვილთან შეთანხმებულია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.



## იაგო ხვიჩია: „პრეზიდენტს ბევრჯერ ჰქონდა საშუალება დაემტკიცებინა, რომ მართლა „ქართული ოცნების“ ოპოზიციაა“

***– იაგო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? დიდი ხმაურით მიღებულ თავდაცვის კოდექსში, „ოცნებას“ ისევ ცვლილებები შეაქვს. რა ხდება, თავადვე აღარ მოეწონათ კანონი?***

– იმ კანონის ძირითადი დანიშნულება იყო, რომ ადამიანები ძალით წაეყვანათ ჯარში და გაეუქმებინათ ჩვენი ბიბლიური თავისუფლება. ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. აღმოაჩინეს, რომ ბიბლიური თავისუფლება მაინც არსებობს. ჯარში ძალით ვერავინ ვერ მიჰყავთ, ისევე, როგორც არც საკუთარი შვილები და ოჯახის წევრები მიჰყავთ ჯარში. მოგეხსენებათ, რომ მიიღეს ეს კანონი, როდესაც დაინახეს, რომ ჩვენ ისევ არ ვუშვებდით ხალხს, ახლა მოიფიქრეს ახალი ცვლილებები და ისევ თავიდან შემოიტანეს განსახილველად. როგორც მაშინ იყო ეს კანონი დისკრიმინაციული და არასამართლიანი, ზუსტად ასეთივე ფორმით შემოიტანეს, რომელიც ამბობს, რომ გასაჩივრება არ აჩერებს კომისიის მოქმედებას და შესაძლოა, შენ ჯარში წაგიყვანონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებ სასამართლოში.

***– რა გამოვა აქედან?***

– არ ვიცი, ვნახოთ. მე მგონია, რომ უნდა გამოვიდეს ის, რომ ადამიანები გაღიზიანდნენ და დაინახონ, სინამდვილეში „ქართული ოცნება“ ჯარზე კი არ ზრუნავს ან ახალგაზრდებზე, არამედ უნდა, წინასაარჩევნოდ, ადამიანებს უთხრას, რომ ქოცებს თუ არ შემოხაზავთ, ჯარში წაგიყვანთო. დროა, ადამიანებმა გაიგონ, რას ნიშნავს ერთპარტიული მმართველობა.

***– თქვენთვისაც ცნობილია, რომ 9 დათქმის შესასრულებლად, პრემიერის ინიციატივით სამუშაო ჯგუფები იქმნება. „ოცნება“ აცხადებს, რომ ოპოზიცია არ უერთდება ამ ჯგუფებს. რას აპირებთ თქვენ? ჩაერთვებით სამუშაო პროცესში? ან ამ ხელისუფლების პირობებში გამოვა რამე?***

– ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ პარლამენტის შენობაში თუ რაღაც ხდება, რამე შეხვედრაა, ან მუშა პროცესი, ყველა ოთახში შევდივართ და ვარკვევთ, იქ რა ხდება. ახლაც ასე მოვიქცევით. თუ რაიმე სამუშაო ჯგუფი ან შეხვედრები იქნება, ჩვენ აუცილებლად შევალთ, თუმცა არ გვაქვს მოლოდინი, რომ ეს პროცესი სერიოზული იქნება. არც 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით ყოფილა სერიოზული პროცესი. ამ პროცესშიც აუცილებლად შევალთ და მოქალაქეებს ვეტყვით, რასაც ჩვენი თვალით დავინახავთ.

***– დიდი მოლოდინი არ გაქვთ?***

– რომ რამეს გააკეთებენ? რასაკვირველია, არ მაქვს.

***– საარჩევნო წელია, ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია. სადაა ოპოზიცია და რას აკეთებს ამ დროს? შუა უნდა შეიკრიბოსო ვისმენთ. რა მოლოდინი გაქვთ, რა გამოუვა ოპოზიციას? მით უმეტეს, რომ მთავარ ოპოზიციად წოდებულ პარტიაში, ძაღლი პატრონს ვერ სცნობს. რას ელოდებით?***

– ველოდებით ამღვრეული წყლის დაწმენდას. რა დაგვხვდება ამ დაწმენდილ წყალში, კაცმა არ იცის. თუმცა ჯერ წყალი უნდა დაიწმინდოს.

***– დაიწმინდება?***

– იცით რა, ნაცმოძრაობა ხელს უშლის ამ პროცესს და ფაქტობრივად, ყოველდღიურად წყალს ამღვრევენ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შეუძლებელია ეს პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდეს, მაგრამ იმაზე მეტი მაინც უნდა ვიცოდეთ, ვიდრე დღეს ვიცით.

***– ვისმენთ ასეთ შეფასებებსაც, რომ ნაციონალური მოძრაობა, დღეს „ქართული ოცნების“ საქმეს აკეთებს. მიზანმიმართულად ამღვრევს წყალს და დანარჩენი ოპოზიციის დისკრედიტაციასაც ეწევაო. რა ხდება? მიხეილ სააკაშვილიც აქტიურად ჩაერთო პროცესებში. აქამდე ვისმენდით, რომ მომაკვდავი იყო, ახლა ცდილობს პოლიტიკურ ლიდერად იქცეს. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?***

– მე მგონი, ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობს, რომ მაქსიმალურად მიიღოს ხეირი ამ პოლიტიკური პროცესიდან. მიხეილ სააკაშვილიც არ განსხვავდება სხვისგან და ვნახოთ, საბოლოო ჯამში, რა გამოვა. აქეთ „ლელო“ ცდილობს შუის შეკრებას, აქეთ ნაცმოძრაობას ჯერ ვერ გაურკვევია, რა უნდა. ნიკა მელიამაც ვერ გადაწყვიტა, წამოვა თუ არა. ზოგადად, ეს დაულაგებლობა, გაურკვევლობა და ლაპარაკის ვერ დაწყება საქმეზე, არის ყველაზე ქოცური საქმე, ვინც არ უნდა აკეთებდეს ამას. თუმცა, რაც არის, ეს არის, უკეთესი ალტერნატივა ჯერ არ გვაქვს.

***– როდესაც შუის შეკრებაზეა საუბარი, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ ამ პროცესისგან? რამდენად სწორი ნაბიჯი იქნება, რომ პატარ-პატარა პარტიები გაერთიანდნენ? ან თქვენს გეგმებში თუ შედის მსგავსი რამ?***

– ჩემი აზრით, პრონაცური პარტიები უნდა გაერთიანდნენ ნაცებში. მოგეხსენებათ, „ლელოც“ ასეთია, სხვა პატარა პარტიებიც, გარდა „გირჩისა“. ამ ხალხმა ამომრჩევლის ხმები არ უნდა დაკარგოს და ისინი უნდა გაერთიანდნენ იმ საწყისში, საიდანაც მოდიან. მერე უკვე ამ ხალხმა უნდა დაიწყოს საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდათ, რაზე ოცნებობენ?! რისთვის არიან პოლიტიკაში? როცა ეს თემა გაირკვევა, მაშინ გვეცოდინება უფრო მეტი და ჩვენც შეგვეძლება უფრო თამამი განცხადებები ვაკეთოთ.

***– პრეზიდენტის როლი ამ პროცესში? საუბარია, რომ პრეზიდენტი შესაძლოა აღმოჩნდეს გამაერთიანებელი ოპოზიციური და შუაშისტური ძალებისა. რა მოლოდინი გაქვთ მისგან?***

– არანაირი მოლოდინი არა მაქვს პრეზიდენტისგან. მე ის მგონია „ქართული ოცნების“ ნაწილი. შესაბამისად, ნებისმიერი გაერთიანება თუ რასაც შეიძლება ის ინიცირებდეს, ძალიან არასერიოზულ ამბავს მოიცავს.

***– რატომ?***

– პრეზიდენტს ბევრჯერ ჰქონდა საშუალება დაემტკიცებინა, რომ მართლა ოპოზიციაა „ქართული ოცნების“. მას ეს არ დაუმტკიცებია და ჩემი კოლეგები ცდილობენ, სასურველი, რეალობად წარმოაჩინონ, რაც არასერიოზულია და დიდი პრობლემაა. თითქოს, სალომე ზურაბიშვილი მართლაც ოპოზიციონერია, რაც მათ უნდათ, რომ ასე იყოს. თითქოს ის მართლა ებრძვის ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ და ესეც ერთგვარი ცრუ ეიფორიაა.

***– სინამდვილეში ასე არ არის? ხომ უწოდა ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილს?***

– კარგით, რა! რა შუაშია, ბიძინას ოლიგარქი უწოდა! ქალბატონ სალომეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არასდროს ნაბიჯი არ გადაუდგამს. მისგან არც ველოდები ამას. რა გაუკეთა ცუდი ბიძინა ივანიშვილმა ქალბატონ სალომეს?! რომ იტყვიან, ზედ გადაყვა. 48 ნომერი ეწერა და ბიძინას პლაკატები იყო მოგეხსენებათ, მაშინ როდესაც, ქალბატონი სალომე თავისი სახით ვერ იგებდა არჩევნებს. ახლა ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ასეთ კაცს ის აუჯანყდა, ომი გამოუცხადა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ და ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ წამი-წამზე მოიგებს სალომე ზურაბიშვილი ამ ბრძოლას. მე ამ სისულელეების არ მჯერა. იმ ხალხისაც არ მჯერა, ვინც ამას იჯერებს.

***– ეს თამაშია?***

– ჩემი აზრით, სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციონერობა, ეს არის შეთანხმებული.

***– რას ცდილობს ივანიშვილი ამით? სალომე ზურაბიშვილის გარშემო შემოკრებილი შუაშისტებით ხომ არ უნდა, რომ „ოცნება“ ჩაანაცვლოს?***

– მე მგონია, რომ უფრო ის უნდა, სალომეს გვერდით შემოკრებილი შუაშისტებით, ე.წ. დაკარგული პროდასავლური ხმები, საკუთარ ყულაბაში დააბრუნოს.

***– ფიქრობთ, რომ გამოუვა?***

– ვინმეს რამე გამოუვა თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, შენ რამდენად ეფექტურად უშლი ხელს გეგმების განხორციელებაში. შენ თუ არ შეუშლი ხელს, რასაკვირველია, ყველაფერი გამოვა. თუ ოპოზიცია ხელს შეუშლის და ხბოს აღტკინებით სალომეს ფანკლუბად არ ჩამოყალიბდება და ცოტა კრიტიკულად შეხედავს მთელ ამ პროცესს, მაშინ შეიძლება რამე გამოვიდეს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მას შემდეგ, რაც საქართველო CAREC შეუერთდა, დაახლოებით 3.000.000.000 აშშ დოლარის ინვესტიცია იქნა მობილიზებული“




– ნება მომეცით ხაზი გავუსვა ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონალური პროგრამისა და აზიის განვითარების ბანკის გადამწყვეტ როლს რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. აღსანიშნავია, რომ ორივეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში განხორციელებულ უამრავ პროექტსა და ღონისძიებაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამის რიგით 22-ე მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მას შემდეგ, რაც ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონალურ პროგრამას შეუერთდა 2016 წელს საქართველო, დაახლოებით 3.000.000.000 აშშ დოლარის ინვესტიცია იქნა მობილიზებული ქვეყანაში.

– ძალიან სასიამოვნოა ყველას მოგმართოთ ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონალური პროგრამის მინისტრთა 22-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე თბილისში.

2023 წელს საქართველოს ჰქონდა ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ამ რეგიონალური პროგრამის თავმჯდომარეობის პატივი და რადგან ეს წელი მთავრდება, სიამაყით ვაცხადებ, რომ წარმატებით შევასრულეთ ჩვენზე დაკისრებული მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველა სახელმწიფო უწყებას და პირს, ვინც ჩართული იყო ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში.

მალე, 2024 წელს, აზიის განვითარების ბანკის 57-ე ყოველწლიურ შეხვედრას სიხარულით ვუმასპინძლებთ თბილისში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღონისძიება გამორჩეულ პლატფორმად წარმოჩინდება რეგიონალური და გლობალური განვითარების საკითხებისა და შეთავაზებულ გადაწყვეტათა განხილვისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

შუა დერეფანზე საუბრისას პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი უხარვეზო ფუნქციონირება მოითხოვს ერთობლივი გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც მეზობელ ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ერთი ფანჯრის პრინციპით სინქრონულად გაატარონ ტვირთები.

– იმ პირობებში, როდესაც ე.წ. შუა დერეფნის მნიშვნელობა იზრდება, როგორც ტრადიციული მარშრუტების სტაბილური და უსაფრთხო ალტერნატივა, მზად ვართ განვახორციელოთ ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რათა ხელი შევუწყოთ სატრანსპორტო და ლოგისტიკური კავშირების გაუმჯობესებას. მათ შორისაა ანაკლიის ახალი ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი, რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი და თბილისში ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა.

ვაღიარებთ, რომ მრავალი ბარიერი კვლავაც აფერხებს საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და ფიზიკური პირების სწრაფ მოძრაობას ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონალური პროგრამის ქვეყნებს შორის. შუა დერეფნის უხარვეზო ფუნქციონირება მოითხოვს ერთობლივი გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც მეზობელ ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ერთი ფანჯრის პრინციპით სინქრონულად გაატარონ ტვირთები. ეს მიდგომა საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების მინიმუმამდე შემცირებას, ხოლო უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას ისახავს მიზნად.

ძვირფასო მეგობრებო, მჯერა, რომ რეგიონში საქართველოს უნიკალური როლის გათვალისწინებით, ჩემი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთო რეგიონულ კეთილდღეობას.

ჩვენი მთავრობა აქცენტს აკეთებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ღირებულების გლობალურ ჯაჭვში ქვეყნის ინტეგრირებაზე, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შენარჩუნებაზე და ქვეყნის სატრანზიტო და განახლებადი ენერგიის პოტენციალის ეფექტურად გამოყენებაზე. ფაქტობრივად, ჩვენი თანმიმდევრული და ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, საქართველომ წარმატებით შეინარჩუნა ეკონომიკური სტაბილურობა, რეგიონალური და გლობალური მასშტაბის გამოწვევების მიუხედავად, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მთლიანობაში, ეროვნული ეკონომიკა 2012 წლიდან სამჯერ გაიზარდა.

– დასასრულს, ხაზი მინდა გავუსვა ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონალური პროგრამისა და ამ კონტექსტში დასახული მიზნების განხორციელების შესაძლებლობათა მნიშვნელობას მთელი რეგიონისთვის. ვიმედოვნებ, რომ მინისტრთა დღევანდელი კონფერენცია წარმატებული და ნაყოფიერი იქნება, რაც ჩვენს საერთო მისწრაფებას შეუწყობს ხელს აყვავებული და მდგრადი მომავლისკენ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## ვინ არის კაცი, რომელიც ყოფილ მეუღლეს და მის შვილებს რამდენიმე თვე უკანონოდ უსმენდა



პროკურატურის განცხადებით, ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟების და საუბრების მიყურადების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინეს. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დაზარალებულმა ქალმა მიმართა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის დეკემბერში ბრალდებულმა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ყოფილი მეუღლის და სახლში არსებული ვითარების გაკონტროლების მიზნით, დაზარალებულის საცხოვრებელ ბინაში ფარული მისაყურადებელი მოწყობილობა დაამონტაჟა, რომლის გამოყენებითაც რამდენიმე თვის განმავლობაში ყოფილ მეუღლეს და მის შვილებს უკანონოდ უსმენდა.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით (კერძო საუბრის უნებართვო მიყურადება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა აცხადებს, რომ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

## როგორია დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში

საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის ოქტომბერში სისხლის სამართლებრივი დევნა 2.026 პირის მიმართ დაიწყო. მათ შორის, 59 არასრულწლოვანია, ხოლო 146-მა პირმა დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე. დევნა შეწყდა 20 პირის მიმართ, მათ შორის, 1 არასრულწლოვნის.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 682 შემთხვევა თბილისში ფიქსირდება.

შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი – 199; ქვემო ქართლი – 190; კახეთი – 116; სამცხე-ჯავახეთი – 51; დასავლეთ საქართველო – 204; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 128; აჭარა – 273; აფხაზეთი – 7;

დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა:

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით – 17 შემთხვევა; მკვლელობის მცდელობის მუხლით – 8 შემთხვევა; თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით – 1 შემთხვევა. ქურდობა – 323 შემთხვევა; მუქარა – 234 შემთხვევა; ოჯახური ძალადობა – 199 შემთხვევა; ძალადობა – 180 შემთხვევა; გაუპატიურება – 20 შემთხვევა; გარყვნილი ქმედება – 8 შემთხვევა; თაღლითობა – 207 შემთხვევა; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – 303 შემთხვევა; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება – 105 შემთხვევა; ყალბი დოკუმენტების დამზადება – 116 შემთხვევა; საქსტატის ამავე მონაცემებით, 2023 წლის ოქტომბერში დაზარალებულთა რაოდენობა 1.556 პირია.

## დაკავებულია კაცი, რომელმაც საგარეჯოში ყოფილი ცოლი დაჭრა და მისი ქმარი მოკლა

საგარეჯოში, ყოფილი ცოლის დაჭრისა და მისი ამჟამინდელი ქმრის მკვლელობის საქმეზე, ერთი პირი დააკავეს. ქალის, დუნია მალიევას მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, ის კლინიკაში რჩება.

მოკლულია 36 წლის იაშარ ჯაფაროვი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა საკუთარ სახლში მიაყენეს. სავარაუდო დამნაშავე 40 წლამდე ასაკის ხეირ ხაბაროვია.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/109-ე მუხლით დაიწყო.

მოკლულის ოჯახი შურისძიებაზე საუბრობს. მათი ინფორმაციით, ქალი ქმარს დაახლოებით 6 თვის წინ დაშორდა და ჯაფაროვთან გადავიდა საცხოვრებლად, ამის გამო ყოფილი ქმარი მათ ხშირად ემუქრებოდა.

# ნაციონალებისგან რამდენიმე ახალი პარტია გაჩნდება!

## გედევან ფოფხაძე: „ოცნება“ არ წარმოადგენს პოლიტიკური ინტერესების გამომხატველ ჯგუფს. ეს არის ჯგუფი, რომელიც კერძო პირის ინტერესებს გამოხატავს და იცავს“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, 2024 წლის არჩევნებზე, ფიქრობთ, არსებული პოლიტიკური რეალობა შენარჩუნდება თუ ოპოზიციურ ფლანგზე სიახლეებია მოსალოდნელი?***

– ვფიქრობ, არსებული პოლიტიკური კონფიგურაცია სწორედ ოპოზიციურ ფლანგზე შეიცვლება. რამდენიმე პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი გაჩნდება. გახარია, ხაზარაძე, კიდევ სხვა რამდენიმე პარტიის კონფიგურაციის შეცვლა წინასაარჩევნოდ მოსალოდნელია. არ არის გამორიცხული, რომ საერთოდ ახალი პარტიებიც გამოჩნდნენ.

ნაციონალური მოძრაობის შიგნით მიმდინარე პროცესებიც გარკვეულ სიახლეს მოიტანს. არ მგონია, რომ ეს ხალხი ერთად გავიდეს არჩევნებზე. ალბათ, ამას ვერ შეძლებენ და იქაც მოხდება გარკვეული გადაჯგუფება. არამხოლოდ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, გეოპოლიტიკური პროცესებიც სერიოზულ გავლენას მოახდენს.

***– მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პოლიტიკური პროცესები ჩვენს რეალობაზე იქონიებს გავლენას?***

– ცალსახად! რუსეთ-უკრაინის ომში თუ უკრაინა მოიგებს, ამერიკის არჩევნებში თუ ისევ დემოკრატები გაიმარჯვებენ, „ქართულ ოცნებას“ შანსი არ რჩება, რომ არჩევნები მოიგოს. მათი მთავარი ორიენტირი რუსეთია. „ოცნება“ ფსონს რუსეთის გამარჯვებაზე დებს. თუ რუსეთი აგებს და ახალი მსოფლიო რეალობა ყალიბდება, მაშინ შანსი არ არის, „ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნოს. მას უკვე ქვეყნის შიგნით ვერაფერი უშველის.

***– რეალური ალტერნატივა რომ არ ჰყავს, ეს ხომ ხელს აძლევს?***

– რა თქმა უნდა, ეს არის სერიოზული ფაქტორი. თუ ოპოზიციურ ველზე არაფერი შეიცვლება, თუ ალტერნატივა, რეალური ალტერნატივა ვერ ფორმირდება, თუ არაფერი შეიცვლება და ასე გაგრძელდება, მაშინ ეს ხელს აძლევს „ოცნებას“, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

რეალურად, ობიექტურად „ქართული ოცნება“ პოზიტიურ პოლიტიკას ვერ ქმნის. „ოცნება“ არ წარმოადგენს პოლიტიკური ინტერესების გამომხატველ ჯგუფს. ეს არის ჯგუფი, რომელიც კერძო პირის ინტერესებს გამოხატავს და იცავს. ქვეყნის სათავეში ყოფნა კერძო ინტერესების დასაცავად, სიმახინჯეა. ეს სრული აბსურდია. ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე, ვინც არ უნდა იყოს მათ ადგილზე, თუ ბიძინა ივანიშვილი მოინდომებს, ერთ დღეში ჩანაცვლდებიან, ეს არ არის პოლიტიკა და პოლიტიკური ჯგუფი. როდესაც ერთ კერძო პირზეა დამოკიდებული, რა და როგორ იქნება, იმას არ შეიძლება პოლიტიკა და ქვეყნის ინტერესები ეწოდოს.

***– როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი წინასაარჩევნოდ შეიძლება გააქტიურდეს? გარკვეული ნაბიჯები გადადგას?***

– ძალიან მეეჭვება. რატომ უნდა გამოვიდეს კომფორტის ზონიდან. არანაირი პოლიტიკური პასუხისმგებლობა არა აქვს, მაგრამ ერთ დღეში შეუძლია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეს არ არის ნორმალური.



თქვენ აქტიურობაზე მკითხეთ, რა უნდა შესთავაზოს ხალხს, რას უნდა დაჰპირდეს, რომ ხალხმა ირწმუნოს?! არანაირი შესათავაზებელი არა აქვთ. არც იდეოლოგია არა აქვთ. 2020 წლის მთავარი წინასაარჩევნო ლოზუნგი – დავითგარეჯი დავიბრუნეთ თუ დავითგარეჯი საქართველოა იყო. სოხუმის დაბრუნება კი არ ყოფილა სლოგანი.

***– 2024 წლის არჩევნებზე რა იქნება?***

– ფანტასტიკის სფეროში გადავლენ. ახალი რა უნდა თქვან. ისევ ომის თემა იქნება, მაგრამ თუ იქამდე უკრაინა პოზიციებს გაიმყარებს და ომს მოიგებს, მაშინ ეს სლოგანიც გამოეცლებათ. მერე ველარ იტყვიან – აბა, ომი გინდათ! მერე შეიძლება გაააქტიურონ – თუ ჩვენ არა, მაშინ ნაცები დაბრუნდებიან. იტყვიან, ნაციონალური მოძრაობა ჩვენზე უარესია და გირჩევნიათ, ისევ ჩვენ აგვირჩიოთ.

***– ეს იმუშავებს?***

– დარწმუნებული ვარ, ხალხი აცნობიერებს, რომ გამორიცხულია, რომელიმე პარტია ერთპიროვნულად მოვიდეს და ძალაუფლება ხელში აიღოს. ეს შეუძლებელია. ერთპარტიული მმართველობა წარსულს უნდა ჩავაბაროთ. საზოგადოებას, ამომრჩეველს აქვს ადეკვატური აღქმა და კარგად აცნობიერებს თუ რა სჭირდება ამ ქვეყანას, მის მომავალს.

# „უკრაინაში სიტუაცია გართულდა“

## ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა მოახერხა ისრაელის ახალ ჰიბრიდულ ომში ჩათრევა“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ვახტანგ, უკრაინის საკითხი რაღაც ნელ-თბილ ამბად იქცა. ისე, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, უკრაინაში მიმდინარე ომი, რომელიც საზოგადოების მხედველობიდან ქრება, საბედისწეროა. დღეს უკრაინაში არსებულ ვითარებას თქვენ როგორ აფასებთ? იმის ოპტიმიზმი კიდევ არსებობს, რომ უკრაინა რუსეთთან ომში გაიმარჯვებს?***

– რთული პროცესია. გრძელვადიან პერსპექტივაში მყარი პოტენციალი არსებობს იმისა, რომ უკრაინამ თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოახდინოს და დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე თავისი პოლიტიკური სუვერენიტეტი გაავრცელოს. ამ ეტაპზე, შუალედურ პერიოდში, ცხადია, საომარი ვითარება გაგრძელდება.

კონკრეტულად, პროგნოზირება რთულია, რადგან მდგომარეობა პოზიციური ბრძოლის ჭრილში გადავიდა. ფრონტის ყველა მიმართულებით ბრძოლები ძალიან რთულად მიმდინარეობს

უკრაინას საყოველთაო მობილიზაციაზე გადასვლა მოუწია. გასაწვევთა ასაკი, თუ არ ვცდები, 17-დან 70 წლამდე გაიზარდა. ეს იმის ფონზე, რომ უკრაინიდან მოსახლეობა გაედინება. მათ შორის, რუსული თემატიკა ომთან დაკავშირებულ მომენტებსაც ეხება.

არის კიდევ ერთი მომენტი – უკრაინას დასავლეთიდან შეიარაღება დაგვიანებით მიეწოდება. ეს ის შეიარაღებაა, რომელიც უკრაინას საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განსახორციელებლად სჭირდება.

უკრაინასა და რუსეთს შორის, პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. დღეს რუსებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული კვანძი ავდეევკა დაიკავეს, რისი კონკრეტული დამადასტურებელი ამ ეტაპზე არ არსებობს.

ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია რთულია. ამას რთული ბუნებრივი კლიმატური პირობებიც ემატება. დღეს საუბარია კონტრშეტევით ოპერაციაზე, ე.წ. სუროვიკინის ხაზის გარღვევის მიმართულებითაც წარმატების მიღწევაზე, რაც იოლი არ არის.

***– დიდი კონტრშეტევის იმედი რომ გვქონდა, ჩავარდა, ხომ?***

– ფაქტობრივად, ასეა. სამწუხარო რეალობა ასეთია. კონტრშეტევა ვერ განხორციელდა სტრატეგიული წარმატების მისაღწევად. თუმცა, ფრონტის გარკვეული მიმართულებებით უკრაინელებმა ოპერატიულ-ტაქტიკური ინიციატივის ხელში აღება შეძლეს.

სამწუხაროდ, ოპერატიულ-სტრატეგიული და სტრატეგიული ინიციატივის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს. ამ ეტაპზე სიტუაცია პოზიციური ბრძოლების დონეზე ვითარდება.

ალბათ, გაისამდე ვერც ერთი მხრიდან აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან რთული კლიმატური პირობები იქნება, რომელიც საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე გავლენას ახდენს.

***– აცხადებენ, რომ უკრაინა აშშ-საგან 100 მლნ დოლარის დახმარებას მიიღებს. ასევე 500 მლნ-ს ენერგეტიკული სისტემის გასაძლიერებლად მისცემენო. რეალურად კი, ამერიკის დროებით ბიუჯეტში ვერცერთნაირი დახმარება ვერ მოხვდა. ბაიდენის მრჩეველი, ჯეიმს სალივანი აცხადებს, რომ აშშ-ის შესაძლებლობები ყოველკვირეულად მცირდება და გავლენას ახდენს მათ უნარზე, უკრაინას მისცეს ყველაფერი, რაც სჭირდებათ. ვერც ევროპა ეხმარება ისე, როგორც საჭიროა. პროცესი საით მიდის?***

– ევროკავშირის რესურსები უკვე მილევად სტადიაში გადავიდა. ამერიკასაც ბიუჯეტთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და უკრაინისა და ისრაელისთვის ფინანსური ტრანშების განხორციელება ვერ მოხერხდა. იმედია, დროებითი პრობლემა იქნება და დეკემბერში დახმარება გაგრძელდება.

ახლა ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები, საპრეზიდენტო რბოლა იწყება. პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში ამერიკის აქტივობა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, გარკვეულწილად, იკლებს ხოლმე. შესაბამისად, შეიძლება ესეც გავითვალისწინოთ.

ევროპის ქვეყნებშიც არის მნიშვნელოვანი არჩევნები. მარტში, წესით, უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. რუსეთშიც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. ამიტომ არჩევნები და ომები სერიოზულ როლს თამაშობენ. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია.

***– ომი რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს?***

– საბრძოლო მოქმედებები შეიძლება კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდეს. საომარი მოქმედებების მხრივ, ორივე ძალა ჩიხშია შესული. საუბარია ახალი ძალების მობილიზაციაზე. საბრძოლო მოქმედებების ემპათიური მუხტის შექმნაზე, რაც უკრაინელებისთვის აუცილებელი მომენტია. უკრაინელებს სჭირდებათ შეტევაზე გადასვლა.

რუსები სტრატეგიული თავდაცვის პირობებში იმყოფებიან. სამწუხაროდ, მათ ე.წ. სუროვიკინის ხაზის მეშვეობით, უკრაინელების შეტევების შეჩერება შეძლეს. მოკლე პერიოდის განმავლობაში სიტუაცია კარდინალურად არ შეიცვლება.

***– ხომ არ შეიმჩნევა რუსეთის მოქმედებებისადმი შემგუებლობა? ლავროვი ეუთოს მინისტერიალზეა მიწვეული, რის გამოც უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კულებამ უარი თქვა გამგზავრებაზე. რატომ იწვევენ ლავროვს ეუთოს მინისტერიალზე?***

– ეს რუსეთსა და უკრაინას შორის დიპლომატიურ ომს წააგავს.

***– რუსეთი დიპლომატიურ ომში ხომ არ იმარჯვებს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსეთი დაინტერესებულია ახალი საერთაშორისო კონფლიქტების გაღვივებით“

## მოსალოდნელია თუ არა გარღვევა უკრაინის ფრონტზე?

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში მიმდინარე ომზე ბოლო დროს საქართველოში ისევ აქტიურად ალაპარაკდნენ. აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ კიევს 2022 წელს ომი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ჯონსონმა არ დაამთავრებინა და მისი მოწოდების შემდეგ ზელენსკიმ ბრძოლა გააგრძელა. ასევე, ბევრი მითქმა-მოთქმაა უკრაინაში არსებულ ომთან დაკავშირებულ უთანხმოებაზე.

იმოქმედებს თუ არა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ომის მიმდინარეობაზე? რატომ არის დაინტერესებული რუსეთი მსოფლიოში სხვა კონფლიქტების გაჩაღებით და გამწვავებით? რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ ფრონტზე გარდატეხა მოხდეს? ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიაში ისაუბრა უკრაინის ყოფილმა ჩინოსანმა, ექსპერტმა გიორგი ტუკამ.

***– როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებს ომზე უკრაინაში?***

– აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები უკრაინისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ღირს ამისგან ტრაგედიის შექმნა. არჩევნებში ბაიდენის ოპონენტმაც რომ გაიმარჯვოს, ეს არ ნიშნავს, რომ რადიკალურად შეიცვლება უკრაინის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერის პოლიტიკა. როგორც არ უნდა მინდოდეს, მოკლე დროში ომის დასრულება შეუძლებელია. ამდენად, აშშ-ის არჩევნებამდე ომი ვერ დამთავრდება.

***– ზელენსკის განცხადებით, რუსეთი ამზადებს ახალ კრიზისებს ბალკანებსა და მოლდოვაში. გაქაჩავს რუსეთი პარალელურ ომებს?***

– რუსეთი დაინტერესებულია ახალი საერთაშორისო კონფლიქტების გაღვივებით მთელ პლანეტაზე. ეს იმის მომასწავებელი არაა, რომ ის ამ კონფლიქტებში უშუალოდ ჩაებმება. რუსეთს აქვს პოლიტიკური რესურსი. გარდა ამისა, რჩება „რბილი ძალა“, რომლის მნიშვნელობა ბოლომდე შეფასებული არ არის.



უახლოეს პერსპექტივაში პლანეტას ელის ისრაელის კონფლიქტის მსგავსი ახალი აფეთქებები.

***– რატომ არის მომგებიანი რუსეთისთვის კონფლიქტები მთელ დედამიწაზე?***

– ნებისმიერი კონფლიქტი ეხება ისეთ ცივილიზაციურ ცნებას, როგორიცაა დასავლეთი. ნებისმიერი კონფლიქტი ასუსტებს მის მონაწილეებს. ღაზას სექტორში ისრაელის მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ ისრაელი გაძლიერდა და რომ მან გაიუმჯობესა კეთილდღეობა.

თუ ახალი კონფლიქტები გაჩაღდება, ჩვენი დასავლელი პარტნიორები იძულებული იქნებიან, მათზე რეაგირება მოახდინონ. ეს გამოიწვევს ყურადღების შემცირებას უკრაინის მოვლენების მიმართ და უკრაინისადმი დახმარების შემცირებას რუსეთთან დაპირისპირებაში.

***– სად შეუძლია რუსეთს კონფლიქტების პროვოცირება?***

– რუსეთს აქვს შესაძლებლობა, უფრო მეტად გაამწვავოს ომი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს ისრაელის არმიასა და ჰამასს ( სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს) შორის.

კონფლიქტების მონაწილეებს შორის, შესაძლოა, იყოს ბალკანეთი. პუტინს აქვს მძლავრი მხარდაჭერა სერბეთში, ასევე ჰყავს აგენტურა ხორვატიაში. რუსებს აქვთ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ სიტუაციაზე ამ რეგიონში, მაგალითად, სერბეთსა და კოსოვოს შორის მოუგვარებელი კონფლიქტის გამო. გარდა ამისა, სავარაუდოა ხანგრძლივი დაპირისპირების გამწვავება ინდოეთსა და პაკისტანს შორის.

***– რუსეთში რა არის მოსალოდნელი? შესაძლებელია თუ არა იქ დაიწყოს სამოქალაქო ომი?***

– სამოქალაქო ომი, კერძოდ, რეგიონალური ომი, რუსეთის ფედერაციაში გამორიცხული არაა. დიდი ალბათობით, ის შეეხება კავკასიას, ციმბირს, შორეულ აღმოსავლეთსა და ურალს.

ახალგაზრდა თაობა ცხოვრობს იმ პარადიგმაში, თითქოს რუსეთი – ეს რაღაც უზარმაზარი, ზემძლავრი და ურყევია. პირადად მე კარგად მახსოვს, რა ხდებოდა რუსეთის ფედერაციაში 90-იან წლებში. მაშინ ურალში გუბერნატორმა როსელმა თავისი საკუთარი ფული დაბეჭდა, თათარსტანმა და ბაშკოროსტანმა თავიანთი საჰაერო სივრცე ჩაუკეტეს „აეროფლოტის“ თვითმფრინავებს, კალინინგრადის მოსახლეობა კი გამოვიდა ევროკავშირთან მიერთების მოთხოვნით. მახსოვს, როგორ დაიწყო შორეული აღმოსავლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის პროცესი.

დარწმუნებული ვარ, რომ კრემლის ხელმძღვანელების სიჩლუნგის გამო, რომლებმაც უკრაინის მიმართ ახლანდელი ქმედებები ჩაიდინეს, რუსეთის ნაწილებად დაშლის პროცესი დაჩქარდება.

***– უკვე რამდენიმე თვეა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში რადიკალური გარღვევა არ ხდება. რამ უნდა მოახდინოს გარღვევა?***

– გავიხსენებ ზალუჟნის (უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი) სტატიას, რომელიც „ეკონომისტში“ გამოქვეყნდა. თარგმანში გამოიყენეს ტერმინი „ჩიხი“. არადა, საუბარი იყო „პატზე“, ანუ ფრეზე, როცა ვერც ერთი მხარე თავის სასარგებლოდ ვერაფერს ცვლის.

ზალუჟნის აზრით, გარღვევისთვის საჭიროა გარკვეული ტექნოლოგიური რევოლუცია. ავიღოთ დრონები. მათ დიდი ხანია იყენებენ, მაგრამ სხვა დანიშნულებით. რუსეთის შემოჭრის შემდეგ უკრაინა გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც დრონებს იყენებს არა დაკვირვებისათვის, არამედ, მოწინააღმდეგისათვის დარტყმების მისაყენებლად. საზღვაო დრონებიც ძველია, მაგრამ სისტემა ჩვენ შევქმენით. სხვა ტექნოლოგიებიც გვჭირდება.

ზალუჟნის თვალსაზრისი გაიზიარა ამერიკელმა გენერალმა ბენ ჰოჯესმა. უნდა ითქვას, რომ აშშ-ის არმიის მაღალჩინოსანთა უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს იმ საჭიროებებს და მოთხოვნებს, რომელსაც ზალუჟნი ახმოვანებს. ჰოჯესმა გარღვევისათვის აუცილებელ პირობად დაასახელა 300 კმ-ზე მოქმედი ამერიკული ბალისტიკური რაკეტები და გერმანული რაკეტები, რომლებიც 500 კმ-იან რადიუსზე მოქმედებს. ასეთი ტიპის შეიარაღება ჩვენთვის ტექნოლოგიური გარღვევა.

ეკონომიკა

## ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები ეკატერინე მიქაბაძე და ეკატერინე გალდავა გახდნენ





საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები ეკატერინე მიქაბაძე და ეკატერინე გალდავა გახდნენ.

სებ-ის ინფორმაციით, 2021 წელს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებად ეკატერინე მიქაბაძისა და ეკატერინე გალდავას კანდიდატურებს საქართველოს პარლამენტმა 7 წლის ვადით მხარი დაუჭირა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობამდე ეკატერინე მიქაბაძე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე იყო. ის ეკონომიკური ანალიზისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებას უძღვებოდა. მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებას ხელმძღვანელობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. მანამდე კი, მრავალი წლის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციას იკავებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტში. მუშაობდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში.

რაც შეეხება ეკატერინე გალდავას, ის წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და მონეტარული ოპერაციების დეპარტამენტში, იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, სებ-ის ვიცე-პრეზიდენტი. ასევე, მუშაობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლობის საქართველოს ოფისში. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობამდე ეკატერინე გალდავას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციაში მაღალი პოზიციები ეკავა.

ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს ეროვნული ბანკის საბჭო. საბჭოს წევრებს კი, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტი შვიდი წლის ვადით ირჩევს. ამჟამად ეროვნული ბანკის საბჭო 6 წევრისგან შედგება.

# „უკრაინაში სიტუაცია გართულდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რუსეთს ეუთოში ვეტოს უფლება აქვს. ამიტომ უკრაინისთვის მინისტერიალზე უკრაინის რაიმე საკითხის განხილვა რელევანტური მომენტი არ არის, რადგან შეიძლება რუსეთმა დაბლოკოს.

2009 წელს, რუსეთმა გამოიყენა ვეტო და საქართველოში მონიტორინგის ჯგუფის მოქმედება შეაჩერა. რუსეთმა ეუთოს მისიის დახურვა მოახერხა. მაშინ ეუთოს მისიის მთავარ სტრატეგიულ საკითხებში – ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში საერთაშორისო ექსპერტი, მრჩეველი ვიყავი და უმუშევარი დავრჩი.

უკრაინელებმა იციან, რომ შეიძლება რუსებმა ეს მომენტი გამოიყენონ და კულება მინისტერიალზე ამიტომ არ წავიდა.

***– რუსეთს გაეროსა და ეუთოში ვეტოს უფლება აქვს, როგორც ჩანს, რუსეთისთვის დიპლომატიური ომის მოგებაც ძნელი არ არის.***

– დიახ. ცხადია. ამიტომ პროგნოზირება ძალიან რთულია.

***– ბოლო დროს ძალიან აქტიურობს ზელენსკის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი არესტოვიჩი და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რუსეთის კგბ-ს თანამშრომლები რომ არ გააკეთებენ.***

– არა მგონია არესტოვიჩი რუსეთის წარმომადგენელი იყოს.

***– რატომ არ გგონიათ?***

– არ მგონია იმიტომ, რომ თავის დროზე ომის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. საკმაოდ კარგად ახორციელებდა რუსული საინფორმაციო პროპაგანდის ბლოკირებას და გარკვეული წვლილი შეიტანა რუსული საინფორმაციო მანქანისა და მისი პროპაგანდისტული ქმედებების მოშლაში.

აქ უფრო სხვა თემაზეა საუბარი. როგორც ჩანს, არესტოვიჩი აპირებს საპრეზიდენტო რბოლაში ჩაერთოს და ცდილობს, თავისი რეიტინგი იქამდე აიყვანოს, რომ თუ უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, უკრაინის პრეზიდენტობის სტატუსზე პრეტენზია ჰქონდეს.

***– არესტოვიჩი ამბობს, არ ვიცი, რის გამო გაგრძელდა დიდი ომი, ამ ომში გადაგვაგდებს და არ მოგვცეს არა თუ გამარჯვებისა და გათავისუფლების, არამედ ეფექტიანად წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა, ტერიტორიების დაკარგვის, უამრავი სისხლის დაღვრის გარეშეო. უკრაინა სტრატეგიულ ჩიხშია, დასავლეთის ნაწილი მზად არის, ჩვენი სისხლით გადაიხადოსო. როგორ შეგიძლიათ თქვათ, რომ არესტოვიჩი ვიღაცის დავალებებს არ ასრულებს, როცა ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომელიც მთლიანად ქვეყანას ვნებს?***

– თუ ასეა, უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ზალუჟნიმ საქვეყნოდ თქვა, ჩიხში ვართო. მწარე სიმართლის ელემენტები არის. უკრაინის საზოგადოებასა და ჩვენ ამ სიმართლის წარმოჩენა არ გვსიამოვნებს, მაგრამ ვიღაცამ ეს სიმართლე უნდა თქვას.

***– ომის დროს რა დროის სიმართლის თქმაა?***

– გარკვეული სპეციფიკური ტიპის ომია. ფაქტობრივად, ორივე მხრიდან გამოცხადებულია სრული კორელაციური ომი. ეს არის შეზღუდული სამხედრო კონფლიქტი. როგორც ჩანს, არესტოვიჩი ლაპარაკობს კორუფციასთან ბრძოლაზე, სამხედრო ოპერაციების ეფექტურად განხორციელებაზე, რაც მართვის ელემენტია, რა პრობლემებიც უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და, საერთოდ, პოლიტიკური სისტემის წინაშე არსებობს.

***– არესტოვიჩი აცხადებს, რომ 300 ათასი ადამიანის გადარჩენა შეიძლებოდა და ომში გადაგვაგდესო. ვინმეს რუსეთის გაჩერება შეეძლო და არ გააჩერა?***

– ვფიქრობ, არესტოვიჩს ცოტა ზედმეტი მოსდის. რაიმეს თქმა მიჭირს, როცა ფაქტები არ არის. როგორც ჩანს, წინასაარჩევნო კამპანიისთვის მზადება მიდის და პროცესებზე გავლენას ცდილობს.

***– არესტოვიჩმა რომ გაიმარჯვოს, ბრძოლა ვისი იმედით უნდა გააგრძელოს, როცა დასავლეთს უტევს, ომში გადაგდებასა და უკრაინის მიტოვებაში ადანაშაულებს?***

– როცა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება, მერე გამჟღავნდება, როგორ აპირებს დასავლეთთან ურთიერთობას. მანამდე ძალიან კომფორტულად დაიარება. ამერიკაშიც იყო და კარგად მიიღეს. არესტოვიჩი ზელენსკის რომ გადაუდგა და მისი პოლიტიკური ოპონენტი გახდა, ესეც ფაქტია. ზელენსკისა და ზალუჟნის შორისაც არის უთანხმოებები და ესეც წარმოჩენილია.

***– უკრაინის ხელისუფლებასა და სამხედრო ხელმძღვანელობაშიც რომ იქნება ბევრი შტირლიცი, ომის პირობებში, ესეც ცხადია.***

– კი ბატონო, ბუნებრივია. რთულ სიტუაციაში შევდივართ. შეიძლება მოვლენები სულ სხვა კონტექსტში განვითარდეს, ამიტომ პროგნოზირება რთულია.

უკრაინაში სიტუაცია გართულდა, რადგან დასავლეთის დახმარება შემცირდა. შეიძლება არესტოვიჩი, გარკვეულწილად, მართალიც არის.

***– ისრაელ-ჰამასის ომის გამო ხომ არ შემცირდა დახმარება?***

– ბუნებრივია, ესეც არის. რუსეთმა მოახერხა ისრაელის ახალ ჰიბრიდულ ომში ჩათრევა. ახლო აღმოსავლეთში ომი რუსეთის მიერ არის წაქეზებული. ამიტომ დასავლეთის მხარდაჭერასთან დაკავშირებით უკრაინაშიც არის პრობლემები.

ის თანამედროვე შეიარაღება, რომელიც უკრაინას ზაფხულში უნდა მიეღო, არ მიუღია. თანამედროვე შეიარაღების მიწოდება, უკრაინას კიდევ უფრო გაუიოლებდა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციების განხორციელებას და საშუალებას მისცემდა, მტერი გარკვეული ტერიტორიებიდან მაინც გაედევნა.

ესეც იყო სტრატეგიული შეტევის ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი. უკრაინამ შეპირებული შეიარაღების გარკვეული რაოდენობა დროულად ვერ მიიღო, რაც მას დაეხმარებოდა ამ მისიისთვის. არესტოვიჩი, გარკვეულწილად, ამაზე საუბრობს. რაზეც ზალუჟნიმაც მიანიშნა, რაც სამწუხარო რეალობაა.

ეს მომენტი დაიკარგა. იმედია, უკრაინის შეიარაღებული ძალები გაისად შეძლებს, ყველა შეცდომა, რაც მათ ომის პერიოდში მოუვიდათ, შეფასდეს, სწორი დასკვნები გამოიტანონ, გამოსწორდეს და უკრაინა რუსი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლოს.

## „ზეთისხილში ისეთი ახალი არომატები იპოვეს, მანამდე არც ერთ ქვეყანას რომ არ ჰქონია“

„გავაკვირვეთ მთელი მსოფლიო – ქართულ ზეთისხილში ისეთი ახალი არომატები იპოვეს, მანამდე არც ერთ ქვეყანას რომ არ ჰქონია“ – ამის შესახებ გადაცემაში „საქმე“ ბიზნესმენმა, ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს საპატიო პრეზიდენტმა გიორგი სვანიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოში უკვე გახსნა სანერგე მეურნეობა, სადაც ქართული ზეთისხილი გამოჰყავთ.

– 10 წლის წინ, პირველი ხე რომ დავრგეთ, სულ 8 ჰექტარი იყო, დღეის მდგომარეობით, მილიონზე მეტი ზეთისხილის ნერგი გვაქვს დარგული საქართველოში და თითქმის 2.500 ჰექტარზე მეტზე არის გაშენებული. ვგულისხმობ, საერთო მასშტაბს და არა მხოლოდ საკუთარ პლანტაციებს. ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო, რომ საქართველოში ეს დარგი განვითარებულიყო და ზუსტად ამას მივაღწიეთ.

საქართველოში პირველი ნერგები თურქეთიდან შემოვიტანეთ, ახლა უკვე ესპანეთიდანაც, მაროკოდან შემოგვაქვს, ასევე ვაწარმოებთ ადგილობრივ ნერგებსაც. გარდა ამისა, აღდგომის პერიოდში ჩავედით გეთსამანიის ბაღში (სადაც მახარობლების თხრობის თანახმად, მაცხოვარმა ჯვარცმის წინანდელი ღამე გაატარა) და იქიდან წამოვიღეთ მრავალსაუკუნოვანი ხეების ნერგები, ასევე გვაქვს ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოტანილი ნერგები, რომლებსაც ვზრდით და გამოგვყავს ჩვენ სანერგე მეურნეობაში.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს და კლიმატს, ზეთისხილის ნერგები კარგად ხარობს იმერეთშიც, ქართლშიც, კახეთში განსაკუთრებით. უხდება მშრალი კლიმატი. აღსანიშნავია, რომ ჩვენ რეგიონებს შორის მოყვანილი ზეთისხილიც განსხვავდება გემოვნებით, სხვადასხვა ადგილში გაზრდილ ზეთისხილის ზეთსაც სხვადასხვა გემოვნური თვისებები აქვს. ყვავილობის დროს იმ ყვავილების, მცენარეების არომატს იღებს და ამითი გავაკვირვეთ მთელი მსოფლიოც – ისეთი ახალი არომატები იპოვეს ქართულ ზეთისხილში, მანამდე არც ერთ ქვეყანას რომ არ ჰქონია, – აღნიშნა სვანიძემ.

# „სოხუმის ბრძოლების დროს ჩოლოყაშვილების 6 ვაჟკაცი ერთდროულად დაიღუპა“

**ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. იგი კვლავ სოხუმის დაკარგვის ბოლო ტრაგიკულ დღეებს იხსენებს.**

**დოდო გუგეშაშვილი:**

– 24 სექტემბერს დილით (გამსახურდია ჯერ კიდევ არაა ზუგდიდში ჩასული), კინდღიდან შეტევა იწყება. არავინ იცის, დაახლოებით მაინც, მტრის ადგილსამყოფელი. ჭუბურხინჯელები ზოგი ფეხით, ზოგიც გურგენ ჩოფლიანის საკუთარი ჟიგულით და ვასო ხვისტანის ზაპოროჟეცით, კოლონასთან ერთად მიიწევენ. ფიჭის „კლეტკებივით“ არიან ახუნძლული ბიჭები მანქანის ძარაზე, სახურავზე, საბარგულებში. ჯარს გამუდმებით აფერხებს მოწინააღმდეგე არტილერიით, ნალმტყორცნებით, ტანკის ჭურვებით. ასე გასცდნენ უჩხოზის ტერიტორიას. გზების გადაკვეთაზე, ჩვენების „ბმპ“-ს მოახვედრეს. 6 ჩოლოყაშვილელი ვაჟკაცი ისე დაიღუპა, გააზრებაც ვერ მოასწრეს, რა მოხდა.

დაახლოებით უკვე მტრის ადგილსამყოფელიც „გაიყიდა“. გრძლად გაჭიმულ კოლონას ჩვენების არტილერია გამოეყო, რათა უკან მოექცეს სათანადო დისტანციაზე, ახლო მანძილიდან აზრი არა აქვს არტილერიის ჩართვას. „ტიაგაჩზე“ გამობმული საარტილერიო ქვემეხების უკან გამობრუნებამ პანიკა გამოიწვია კოლონაში ჩამდგარ გამოუცდელ ბიჭებში. კოლონის დაწინაურებული ნაწილიც შეაყოვნა მოწინააღმდეგემ.

კოლონის შუაწელს გამოეყვნენ ჭუბურხინჯელი მხედრიონელები, გზის გასწვრივ, სიგრძითა თხრილში, ევკალიპტების ზოლის გვერდით ჩაწვნენ. მალხაზ ხორგუანი სიგარეტს იღებს და ისე მშვიდად აბოლებს, თითქოს ბარში იჯდეს ძვირფასი სასმელით ხელში. „ცხვირს წაგაცლის სნაიპერი“, – აფრთხილებს მახოს კოჩარელი ზვიად მარგიანი. უცხვირო ხორგუანის წარმოდგენაზე იცინიან ბიჭები.

მტრის ტყვიამფრქვევები, მუხები, ყუმბარმტყორცნები განუწყვეტლივ მუშაობენ. მოყვითალო „უაზი“ უკან მიაბრუნა ცაგერას ბატალიონის მეთაურმა, სოსო სილაგაძემ, ცდილობს პანიკაში ჩავარდნილი ახალბედები მწყობრში მოიყვანოს. ხედავენ სვანები სანაპირო ზოლიდან ერთი ბიჭი ფეხზე დგება, ავტომატის ლულას ფეხისკენ იშვერს და სასხლეტს კრავს. გახედვაც აღარ უნდათ ბიჭებს ძალად დაკოჭლებულისკენ.

განუწყვეტელი სროლა წამით შეჩერდა. წინიდან გამორბის ერთი ბიჭი. ტყვიამფრქვევს ასფალტზე ათხლეშს, გამეტებით ურტყამს თავს ასფალტს, ჩემი ძმა მოკლესო, – ბღავის. კონტუზირებული ბიჭი უკანა მხარეს გაუშვეს. ხოხვით გამოდის ბუჩქებიდან 3 მებრძოლი, დაღუპული და დაჭრილი ბიჭებიაო წინ, ვერ გამოგვყავსო. დათო, შოთა კორძაიები, ზვიად ხვისტანი ჩვენების მწყობრიდან გამოსული „ბმპ“-ს წინ, 50 მეტრში იკავებენ პოზიციას, „აზღვევენ“ ბიჭებს, რომ დაღუპულ-დაჭრილები გამოიყვანონ. ყურაშვილი გამწარებით ცდილობს ჯარის ხელახლა მობილიზებას.

24 სექტემბერს, ზუგდიდში, გამსახურდია ჩავიდა გროზნოდან. არის ერთი ტაში და გრიალი. მიტინგზე გამსახურდია აცხადებს, რომ იგი არა მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა შეასრულოს, არამედ იმისთვისაც, რომ სათავეში ჩაუდგეს ეროვნული ხსნის მოძრაობას.

გუჯარ ყურაშვილი ამუშავებს გეგმას, რის თანახმადაც, ტრასიდან დაარტყამენ ჩვენი მებრძოლები ახალდაბისკენ, იქნებ ზღვის ზოლიდან ზვიადისტებიც ჩაერთონ, მოწინააღმდეგე იძულებული გახდება, გადაანაწილოს და დაქსაქსოს თავისი ძალები. მტერს არ დასჭირდა ძალების გადანაწილება, არ დაიძრნენ ზვიადისტები, ტრასას დასცხეს სეპარატისტებმა მთელი ძალებით.

კინდღის ზედა მხარეს, მინდვრებსა და ჭალებს ზემოთ, სომხური სოფელი არაგიჩია. ატარა აფხაზსკაიას და არაგიჩის გავლით გადის მეორე, ტყვარჩელ-ახალდაბა-სოხუმის გზა. ყურაშვილის ამოცანაა, მთავარი შეტევის დაწყების დროს (ტრასიდან სოხუმის მიმართულებით გზის გასარღვევად), უნდა შეჩერდეს რუსულ-სეპარატისტული ძალა ტყვარჩელი-ატარა აფხაზსკაიადან. ჭუბურხინჯელებმა ითავეს არაგიჩისკენ გასვლა. მათ გორის და ხაშურის ბიჭებიც შეუერთდნენ, ახალგაზრდა კაცის, დევის და „რიჟას“ მეთაურობით. 50-კაციან რაზმს მეგზურად ადგილობრივების (კინდღელების) სიძე გაჰყვა, ხეცურიანი. გამთენიისას შეიყვანა მეგზურმა ბიჭები არაგიჩში. დილით, 6 საათზე, ცენტრალური გზით შეტევა უნდა დაწყებულიყო. არაგიჩში შესულ ბიჭებს თავი არ უნდა გაეცათ, ვიდრე „პადმოგას“ არ გადმოისვრიდნენ სეპარატისტები.

25 სექტემბერს, მიტინგიდან გამსახურდია ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებს და ჰპირდება, უზენაეს საბჭოს სასწრაფოდ შეკრებს და არჩევნებს დანიშნავს.

არაგიჩის მოსახლეობას (სულ სომხები იყვნენ) სოფლიდან არ უშვებენ ბიჭები, რომ ინფორმაცია არ მიაწოდონ სეპარატისტებს. გუა ხვისტანი მოსახლეობას ქართულად ეკითხება ჯერ, მებრძოლები თუ არიანო სოფელში. პასუხი არ არის. მერე რუსულად იმეორებს კითხვას გუალი. ყველა ერთად ყაყანებს, თვალით არ გვინახავს მეომრები, მშვიდობიანი მოსახლეობა ვართო, – სომხურ-რუსულად პასუხობენ. სოფლის გზაზე გადის გუალი ბიჭებთან ერთად. თემო გუჯეჯიანი და დათო კორძაია „დაზღვევაზე“ არიან. ხედავენ, ერთ-ერთ სახლთან წითელი „06“ დგას, საჭესთან „ტელნიაშკიანი“ ტიპი ზის. გოლიათური აღნაგობის გუალი ხეებს ნახევრად ეფარება. „გამოდი“, – რუსულად იძახის გუალი „ტელნიაშკიანს“. გუალის გვერდით დევი უდგას ყუმბარმტყორცნით ხელში. მანქანის საჭესთან მჯდომი ავტომატიანი მანქანიდან ხტება. სულ რაღაც 70 მეტრშია ბიჭებისგან მოშორებული მანქანა. ალბათ, სახლშიც არიან სეპარატისტები, – ვარაუდობენ ბიჭები.

„ცოცხლად ავიყვანოთ“, ამ სიტყვების დამთავრებას ვერ ასწრებს გუალი, ცალ მუხლზე დაყრდნობილი დევი ყუმბარმტყორცნს ესვრის სეპარატისტს, ავტომატიან მხარს გლეჯს ჭურვი. „ეს შენ, ჩემი ძმაკაცების სანაცვლოდ“, – ყვირის დევი. სროლის ხმა გაიფანტა. ახლა „გაყიდულები“ არიან ბიჭები. გაგლეჯამდე გაჰკივიან ქალები, ყვირიან კაცები.

სახლიდან ავტომატიანი სომხის 14-15 წლის ბიჭი გამოვარდა, დამიზნებით არ ესვრიან ჩვენები, მიწაზე გაწოლას აიძულებენ მხოლოდ. „ნორჩ სეპარატისტს“ ავტომატს ართმევს დათო კორძაია, მსუბუქად გაუშლის ყბაში. ახლა ამაზე კივიან სომხები, ბარბაროსებად მოიხსენიებენ ქართველებს.

მხარმოგლეჯილ გვამს ჯიბეში საბუთი უდევს. მოქვის „ჩაის სავხოზის“ ბატალიონის წევრია. მანქანა სავსეა ქართველების სახლიდან წამოღებული ძვირფასეულობით (ალბათ, რომელიღაც ქართულ სოფელში შეიარა არაგიჩამდე). ოქროთი მოვარაყებულ „ვეფხისტყაოსანს“ მოწიწებით იღებენ ბიჭები, გენიოსის მიერ შექმნილ გენიალურ ნაწარმოებს სათუთად ეფერებიან. დილის 8 საათია. ტრასიდან არ ისმის სროლების ხმა, არაა შეტევა დაწყებული, როგორც ჩანს.

ატარა აფხაზსკაიას მხრიდან მანქანის ხმა ისმის. პოზიციებს იკავებენ ბიჭები. სამხედრო სამხიდიანი „კამაზი“ შემოდის სოფელში. ბიჭები ორი ყუმბარმტყორცნიდან ერთდროულად ესვრიან მანქანას. საბურავსა და კაბინაში ხვდება ჭურვები. მართვადაკარგული „კამაზი“ ეზოში შევარდა. გაძეძგილი ძარიდან ძირს ხტებიან სეპარატისტები, სამხედრო ფორმები აცვიათ. ერთ მკლავზე რუსული დროშა აქვთ, მეორეზე – აფხაზური. გააფთრებული ბრძოლა მიდის მომხვდურებსა და ჩვენების პატარა რაზმს შორის (დანარჩენი ბიჭები სოფლის შუაგულში, შესასვლელ-გასასვლელებში არიან ჩასაფრებულები).

მახო ხორგუანი და დათო ჟორჟოლიანი სეპარატისტების პოზიციაზე იჭრებიან, დაუნდობლად ცელავენ მომხდურებს. მეორე პოზიციაზე ახლა გია თორია და ხვისტანები ცხრილავენ სეპარატისტებს. „კამაზის“ კაბინის კარებს აღებს გუალი, ადამიანის ნაფლეთებილა ყრია. კალაშნიკოვის ავტომატებით არიან შეიარაღებულები რუსულ-აფხაზურ დროშიანები, „აკმ“-ის ფეთქებადი ტყვიებით. ჯავშანჟილეტი გახადეს ერთს, სიცოცხლის ნიშან-წყალი ატყვია. წყალს ასხამს გუალი, ცოცხალია. მოსკოველი რუსია. ჯიბეში კონვერტში ჩადებულ წერილთან ერთად ნარკოტიკი უდევს. ქალის წერილია, მოსკოვიდან გამოგზავნილი. კონვერტზე რუსულად აწერია მისამართი: „რუსეთის ფედერაცია, აფხაზეთის რესპუბლიკა, ქ. ტყვარჩელი. ბატალიონის ნომერი, გვარი“.



თითოეულ გვამს საბუთი უდევს ჯიბეში. ზოგი მოსკოვიდანაა, ყირიმიდან, კრასნოდარიდან, უფრო მეტი. ერთი კი „ფრიად პატივცემული“ პოლკოვნიკი, ავღანეთსა და ცხინვალში ნაომარი, ტყვარჩელის ფრონტის მეთაურია. რამოდენიმე სომეხიცაა: „როდის მერეა აფხაზეთი რუსეთი“, – ყვირილით ეკითხებიან რუს ტყვეს ბიჭები. „მე ხელფასს მიხდიან, ყველგან რუსები არიან“, – დაბნეულად პასუხობს ვანია-რუსი. სვანურ ქუდს ხან იხდის თავიდან, ხან ისევ იხურავს გუალი: ხელები ექავება, არ აძლევს თავს უფლებას, იარაღაყრილ ტყვეს ფუთიანი მუშტების „გემო გაასინჯოს“. ჯინსებ-ბოტასებში არიან მხედრიონელები, მოკლე შინელები აცვიათ გარედან, ოჩამჩირეში აღებული. ურიკებზე დააწყვეს გვამები ბიჭებმა. დიდი ორმო გათხარეთო, – უბრძანეს ბოროტად თვალებაელმებულ სოფლელ კაცებს. ტყვე თან ჰყავთ ჩვენებს.

ახალდაბის მხრიდან ტანკის და „ბმპ“-ს ხმა ისმის. უკვე გამოჩნდნენ მოსახვევში. ისევ ორ ყუმბარმტყორცნს ესვრიან ტექნიკას ბიჭები. ლულასთან ახლოს ხვდება, ველარ ტრიალებს ტანკის ლულა, მხოლოდ ერთ წერტილში ისვრის. ტანკის ტყვიამფრქვევი ყეფს ახლა საზარლად, „დშკ“ ხნავს უმადური ტომით დასახლებულ ქართულ მიწას. „ბმპ“ იქაურობას გამუდმებით ესვრის. მიწის გულიდან ბელტებად გლეჯს და ჰაერში ფანტავს წინაპრების ძვლებს.

ბალჩების, „სეტკების“ კუთხეებში, ორმოებში ჩაწვნენ ბიჭები, ზოგიც ბაღში, მსხმოიარე ხეხილის ძირში. რამდენიმე დღეა, ლუკმის გემო არ იციან ბიჭებმა. მაცდურად კეკლუცობს ოქროსფერი მსხალი დახუნძლულ ტოტებზე.

მოკლე დისტანციაზეა ბრძოლები. გორელი ბიჭი ლამისაა ყელში წვდეს დალმეჭილ რუსს. ახლა აქა-იქ, სახლებში შერბიან ჩვენი და უცხო ჯიშის მეომრები. სახლებიდან ესვრიან დაუნდობლად ერთმანეთს. ყველა ენაზე ისმის გინება.

ატარა აფხაზსკაიას მხრიდან მეორე კამაზიც ყოფილა ჩასაფრებული. როცა პირველი „კამაზის“ ბინადარნი ამოჟუჟეს ჩვენებმა, ფეხით წამოხეტებულან არაგიჩისკენ სეპარატისტები. უკვე შემოსულები არიან სოფელში. სამი მხრით ალყაში არიან ჩვენები: წინა მხარეს, სოფლის უკვე იარაღასხმული „მშვიდობიანი“ სომხები, მარცხენა, ახალდაბის მხარეს – რუსები. მარჯვენა, ატარა აფხაზსკაიას მხრიდან რუსებ-კაზაკ-ჩრდილოკავკასიელები, მხოლოდ სამხრეთით, კინდღის მხარეა თავისუფალი. მძიმე დაჭრილი ბიჭები მოფარებულში გაჰყავთ თანამებრძოლებს. ბრძოლას აგრძელებენ მსუბუქად დაჭრილები. მუცელში იჭრება ჩვენი მეომარი, ნაწლავები ეყრება გარეთ, დამდნარ მაისურს იფხრეწს ტანზევე, სარტყელივით იკრავს მუცელზე, მუცელშივე იბრუნებს ნაწლავს. კბილებს ალრჭიალებს, თვალებში ბრძოლის ჟინი უელავს ისევ. ახლა შვებაა მისთვის გონის დაკარგვა. არ ეკარგება გრძნობა. ნაწილებად უჯიჯგნის ტკივილი სხეულს. ახლა თითებით იკავებს სარტყელიდან გამოშვერილ ნაწლავებს...

ნერვებს ვერ თოკავს ერთი ხაშურელი, თქვენი დედაო, რუსულად იგინება და სროლით მიექანება სახლისკენ, სადაც უხსენებლებივით არიან შეკლაკნილი სისხლიანი მომხდურები. ფეხებში იჭრება ბიჭი, ტყვიების ქარცეცხლიდან გამოჰყავს გურგენ ჩოფლიანს დაჭრილი.

გუალი, ვასო და კიდევ ორი მებრძოლი ბრძოლით გამოდიან სახლებიდან. არავინ იცის, რომელი სახლიდან თუ ბუჩქიდან გამოვარდება ეშმაკის სახე – რქიანი სიკვდილი. მანძილს უშორებენ რუსებს ქართველ მეომრებამდე სვანები. თავში იჭრება გუალი, ვასოს გამოჰყავს მთასავით აზიდული ბიჭი. ჩვენი დაჭრილები კინდღისკენ მიჰყავთ ბიჭებს, მოწინააღმდეგის გვამებიც მიაქვთ. ფართო, ამოყირავებული ურიკა აგდია სოფლის გასასვლელში, მსხვილი, რძიანი შოკოლადისფერი კარტოფილებია ირგვლივ მიმობნეული. ურიკაზე უხერხულად არის ერთმანეთზე გადაწოლილი ორი რუსის გვამი. ქამარი გაწყვეტილი აქვს ერთს, მუხლამდე აქვს შარვალი ჩაჩაჩული. გვამებს აცალკევებენ ბიჭები, არ კადრულობენ, ასე დატოვონ. ნელ-ნელა გამოდიან ბიჭები. სოფლის თავზე, გორაზე მაგრდებიან. ხელისგულივით ჩანს როგორ ფუთფუთებენ სოფელში კონფედერატები და რუსები.

კინდღის არტილერიას უკავშირდებიან ჩვენები, კოორდინატებს აძლევენ. შესაშურად მუშაობენ არტილერისტები. ბორცვზე, მინდვრებში, კინდღსა და არაგიჩს შორის არიან ჩვენი ბიჭები დაქსაქსულები. კინდღიდან ახალდაბისკენ, 3 კილომეტრში, უჩხოზში დარჩნენ იმ ღამით ჩვენები. დილით ისევ კინდღისკენ მოდიან. თითო შეუვსებელი მჭიდილა აქვთ ბიჭებს, შინელის ჯიბეებში მსხალი ულაგიათ, უკვე შელანძღული, მაგრამ ტკბილი და შრიალა. რუსი ტყვე სოფელშივე „დარჩა“, თავისი თანამოძმე რუსებისგან დაცხრილული (როცა ჩვენების პოზიციას უტევდნენ, მაშინ მოხვდა ტყვიამფრქვევის ჯერი).

მედიცინა

## ფსორიაზის მკურნალობა

**დაავადების ძირითადი გამომწვევი მიზეზია მუდმივი სტრესი. მეორე – ღვიძლის დაავადება და მესამეც – ფარისებრი ჯირკვლის დაავადება. ადამიანის ორგანიზმში მცირდება რკინისა და თუთიის შემცველობა. მკვეთრია ნაკლებობა ვიტამინებისა, განსაკუთრებით B _ ვიტამინის, იწყება თირკმელზედა ჯირკვლის ტკივილები. დიდი მნიშვნელობა აქვს ფსორიაზის მკურნალობისას სწორ კვებას. კვების რაციონიდან უნდა ამოვიღოთ გამოყვანილი ხორცი, ღორის ხორცი, შებოლილი ძეხვი, ყავა, ჩაი.**



მომინანქრებულ ჭურჭელში მოვათავსოთ 200 გრამი კარაქი, წვრილად დაჭრილი 10 გრამი დინდგელი და ვადუღოთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი. გადმოვდგათ, გავწუროთ რამდენიმე ფენა მარლაში. მალამო შევინახოთ მაცივარში. ვისვათ მტკივნეულ ადგილზე.

❖ ❖ ❖

კანის სხვადასხვა დაავადების, მაგალითად, ნეიროდერმიტის დროს, კარგ შედეგს იძლევა ძმრის შეზელვა. ძმარს ხშირად ხმარობენ კანის სხვადასხვა სოკოვანი დაავადების დროსაც, თითებშუა და ბარძაყების ეპიდერმოფიტის შემთხვევაში. ქალებს ხშირად აწუხებთ ხელებზე დაავადება (დერმატოზები), რომელიც ხშირად გამოწვეულია სარეცხი ფხვნილებით. ასეთ დროს გაიკეთეთ თბილი სოდიანი წყლის აბაზანები და წაისვით თურმანიძის მალამო.

**ეგზემის წამალი**

1 ჩაის ჭიქა რძის ნაღები, 1 ჩაის კოვზი ყვითელი გოგირდი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი შაბი ავზილოთ და წავისვათ დაავადებულ ადგილზე 3-ჯერ დღეში. კარგი იქნება, თუ ამ შემადგენლობას ავურევთ თურმანიძის ჩვეულებრივ ყვითელ მალამოში და ისე გამოვიყენებთ.

❖ ❖ ❖

1 ჩაის ჭიქა (200 გრამი) დანაყილი ნიგოზი კარგად მოვურიოთ 1 ღვინის ჭიქა მაწონში. წავისვათ მალამოსავით მტკივნეულ ადგილზე მარლით საღამოობით, დღეში ერთხელ.

❖ ❖ ❖

კარგად გაცრილ-დანაყილი სელის თესლი გავხსნათ ზეითუნის ზეთში. წავისვათ მტკივნეულ ადგილზე. გავიმეოროთ რამდენჯერმე.

❖ ❖ ❖

ავიღოთ ნესვის თხელი კანი, გავახმოთ და შევინახოთ. როცა დაგვჭირდება, დავყაროთ ტაფაზე და გავაცხელოთ. შემდეგ ჩავნაყოთ როდინში და გავხადოთ ფქვილივით. გავხსნათ ზეითუნის ზეთში ან უმარილო კარაქში. წავისვათ დღეში 2-ჯერ, დილას და საღამოს.

საზოგადოება

## ხელოვნების მუზეუმს გატაცებული ნამუშევარი დაუბრუნდა



ხელოვნების მუზეუმს კიდევ ერთი დაკარგული ფერწერული ნამუშევარი – ჟან სიმეონ შარდენისათვის მიკუთვნებული ნატურმორტი დაუბრუნდა.

1994 წლის 27 ივლისს ნატურმორტი ხელოვნების მუზეუმიდან ლუკას კრანახის „მაჭანკალთან“ და იაკობ ვან რუისდალის „ჩანჩქერთან“ ერთად მუზეუმზე თავდასხმის შედეგად გაიტაცეს. მოგვიანებით, სამიდან 2 ნამუშევარი – ლუკას კრანახის „მაჭანკალი“ და იაკობ ვან რუისდალის „ჩანჩქერი“ – მუზეუმს დაუბრუნდა, ხოლო ჟან შარდენის სავარაუდო ავტორობით შესრულებული ნამუშევარი ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა. 2023 წლის ნოემბრის დასაწყისში, სამინისტროში ნახატი მიიტანა პირმა, რომელმაც ფართო საზოგადოების წინაშე მისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

სურათს ჩაუტარდა კვლევა ხელოვნების მუზეუმში ახლად შექმნილ ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში. ჩატარებული ტექნოლოგიური კვლევა უტყუარად ადასტურებს, რომ კვლევის ობიექტი წარმოადგენს 1994 წელს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან გატაცებულ ფერწერულ ნამუშევარს. ნამუშევრის ავთენტურობა დარღვეული არ არის.

მოცემული სურათი მუზეუმისათვის კუთვნილი რიგით 132-ე ექსპონატია, რომელიც 2021 წლის გაზაფხულიდან დღემდე ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბლინკენი: „ნატო უკრაინის დახმარებას გააგრძელებს!"



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ბლინკენმა განაცხადა, რომ ნებისმიერი საუბრები ნატოს უკრაინისაგან გადაქანცვის თაობაზე სიცრუეა.

– ნატო უკრაინის დახმარებას გააგრძელებს! – თქვა ბლინკენმა.

# რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია: ტანკები – 5.538; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.312; არტილერია – 7.908; თვითმფრინავები – 323. განადგურებულია 327.580 ოკუპანტი.

ამრიგად, რუსეთის არმიის დანაკარგები იზრდება. მიზეზი ძირითადად ავდეევკასთან ბრძოლებია. ოკუპანტები გააფთრებით ცდილობდნენ ავდეევკა ჯერ კიდევ ამა წლის 30 ოქტომბრისათვის აეღოთ. ეს ჩაიშალა. შემდეგ მეორე ვადა დაითქვა: 7 ნოემბერი. არც ეს გამოვიდა. უკვე ცხადია, რომ ავდეევკას ვეღარც 30 ნოემბრისათვის აიღებენ.

# დაბომბვები არ წყდება



პუტინს უკრაინაში ყველა გეგმები ჩაეშალა. მან ვერც ავდეევკა აიღო, ვერც კუპიანსკი, ვერც კლესჩივკა, ვერც ბახმუტის მახლობლად მდებარე სხვა დასახლებული პუნქტები. სამაგიეროდ, რუსეთის არმიაში მსხვერპლი დიდია. გაბოროტებულმა ოკუპანტებმაც უკრაინის დაბომბვები გააძლიერეს.

– არ მესმის, რატომ უხარიათ უკრაინელებს, რომ ბევრი რუსი დახოცეს! განა ცხადი არ არის, რომ პასუხად უკრაინული ქალაქების დაბომბვები გაძლიერდება? – კითხულობს უნგრეთის პრემიერი ორბანი.

რუსი ჯარისკაცების დახოცვის პასუხად ოკუპანტებმა დაბომბეს კიევი, ოდესა, ხარკოვი, სუმი, ლვოვი და ივანო-ფრანკოვსკი. შედეგად დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

უკრაინელებმა პასუხად დაარტყეს პოდმოსკოვიეს, კრასნოდარის მხარეს, ვოლგოგრადს, კურსკს, ბრიანკს და ბელგოროდს. შედეგად დაინგრა არა მარტო სახლები, არამედ ყაზარმები და სამხედრო ქარხნები.



# ჰამასმა კიდევ ორი რუსი მძევალი გაათავისუფლა

ექსტრემისტული ორგანიზაცია ჰამასი მძევლების გათავისუფლებას განაგრძობს. ამის შესახებ იტყობინება რადიო „თავისუფლება". ტყვეობაში ჯერ კიდევ რჩება 100 რუსი ეროვნების მოქალაქე.

# პოლ უილანს სცემეს




როგორც ცნობილია, აშშ-ის მოქალაქე, ყოფილი საზღვაო ქვეითი უილანი მორდოვის ბანაკში იმყოფება. მას ბრალი ედება ჯაშუშობაში. უილანს მორდოვის ბანაკში სცემეს. ეს ავდეევკასთან რუსული არმიის მარცხს დაემთხვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სპორტი

# შავი ლომი ფინალში გასასვლელად მესამედ იბრძოლებს

2 დეკემბერს შავი ლომი ესპანურ იბერიანსს „ავჭალაზე" დაუხვდება და გამარჯვების შემთხვევაში რაგბი ევროპის სუპერ თასის მიჯრით მესამე ფინალში თამაშის უფლების მოპოვებას ეცდება.

ჩვენმა გუნდმა ჯგუფური ეტაპი სამი მოგებით, პირველ ადგილზე დაასრულა, იბერიანსი კი მესამე ადგილს დასჯერდა. სუპერ თასის წლევანდელი სეზონი ნახევარფინალისტებმა ურთიერთშეხვედრით დაიწყეს. თამაშს ერთი თვის წინაც „ავჭალამ" უმასპინძლა და ლევან მაისაშვილის გუნდმა 39:19 გაიმარჯვა.

იბერიანსთან გამარჯვების შემდეგ, შავმა ლომმა ჯერ პორტუგალიაში ლუზიტანუში (22:0) დაამარცხა, მერე ისრაელის ჰითსს (29:27) კვიპროსში სძლია და ჯგუფური ეტაპი 14 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა.

იბერიანსს მეორე ტურში ჰითმა ესპანეთში 38:20 მოუგო. თასის ნახევარფინალისთვის გადამწყვეტი ჯახი ესპანელებსა და პორტუგალიელებს შორის ვალიადოლიდში, 19 ნოემბერს შედგა. დაძაბულ ბრძოლაში იბერიანსმა ლუზიტანუში 18:13 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალში ჰითი რუმინულ ვულვზს ბუდაპეშტში ეთამაშება.

შავი ლომის სამწვრთნელო შტაბმა 2 დეკემბრის შეხვედრისთვის უკვე შეარჩია 23 მორაგბე. იბერიანსთან ერთი თვის წინ გამართული შეხვედრის შემადგენლობიდან, სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილება და ერთი გადაადგილებაა.

9 ნომრის პოზიციაზე თენგიზ პერანიძის ნაცვლად თამაშს გიორგი მარგალიტაძე დაიწყებს. სხვა მხრივ ხაზი ისეთივეა, როგორიც ერთი თვის წინ იყო. ჰითთან თამაშის შემდეგ ორი ცვლილებაა – ცენტრში გიორგი კვესელაძე, ფრთაზე კი, სანდრო თოდუა დაბრუნდა.



პირველ ხაზში ნიკა ხატიაშვილმა მარცხენა ბურჯის პოზიციაზე გადაინაცვლა, მარჯვნივ გიორგი ჩხარტიშვილი დადგება, კვაჭი ირაკლი ქვათაძე იქნება. მეორე ხაზში მიხეილ ბაბუნაშვილს ამჯერად ნოდარ ჭეიშვილი შეუწყვილდება, რომელსაც ტრავმა აწუხებდა. უცვლელია და ზედიზედ მესამე შეხვედრას იწყებს მესამე ხაზი – ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი და ილია სპანდერაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ლუკა ივანიშვილი ერთადერთი მორაგბეა, რომელმაც შავი ლომის ყველა, 30-ივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, როგორც რაგბი ევროპის სუპერ თასზე, ასევე სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.

მარქაფაშია დებიუტანტი გიორგი ჯობავა, რომელიც შავ ლომს მიმდინარე სეზონის წინ შეუერთდა, მაგრამ გუნდის კვართით მოედანზე ჯერ არ გასულა.

**შავი ლომის შემადგენლობა**

**ხაზი:** ლუკა ცირეკიძე, აკაკი ტაბუცაძე, გიორგი კვესელაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, ლუკა მატკავა, გიორგი მარგალიტაძე;

**შერკინება:** ნიკა ხატიაშვილი ირაკლი ქვათაძე, გიორგი ჩხარტიშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, ილია სპანდერაშვილი.

**მარქაფა:** ბექა მამრიკიშვილი, დათო აბდუშელიშვილი, ნიკა პატარაია, დემურ ეფრემიძე, გიორგი კერვალიშვილი; თენგიზ პერანიძე, გიორგი ჯობავა, თორნიკე კახოიძე.

შავი ლომისა და იბერიანსის მატჩი 2 დეკემბერს, 14:00 საათზე დაიწყება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# ცნობილი მხატვრის ძვირადღირებული ნახატი შემთხვევით ძალიან იაფად გაყიდეს




ავსტრალიაში ქალმა შემთხვევით ძალიან დაბალ ფასად გაყიდა პატარა ზომის ნახატი, რომელიც სახელგანთქმული ფრანგი აბსტრაქციონისტი მხატვრის ნაწარმოები აღმოჩნდა და მისი ფასი მინიმუმ 20 ათას ავსტრალიურ დოლარს შეადგენდა.

კუინზლენდის შტატის ქალაქ გოლდ-კოსტის მკვიდრმა სარა ბონერმა ნახატი ინტერნეტით 2021 წელს შეიძინა. მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს მას სასწრაფოდ დასჭირდა ფული და გადაწყვიტა, სოციალურ ქსელის დახმარებით ის 100 ავსტრალიურ დოლარად გაეყიდა. მალე მის განცხადებას ვინმე ლი კეიპელი გამოეხმაურა, რომელმაც ქალს მაშინვე შესთავაზა 200 დოლარი. სამშაბათს, 21 ნოემბერს, მან ქალთან შეიარა, შეთანხმებული თანხა გადაუხადა და ნახატი წაიღო.

მეორე დღეს ბონერს დაუკავშირდა სხვა მამაკაცი, რომელმაც ასევე ნახა ინტერნეტში მისი განცხადება, რომელმაც განაცხადა, რომ ნახატი ცნობილი მხატვარის პიერ სულაჟის მიერ იყო შექმნილი და მისი ფასი მინიმუმ 20 ათას ავსტრალიურ დოლარს შეადგენდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბონერის ხელში ორი წლის განმავლობაში იყო 1957 წელს შექმნილი ნახატი სახელწოდებით „ლიტოგრაფია №3". ამ ნამუშევრის 200-მდე ასლია დამზადებული თავად ავტორის მიერ და ყოველი მათგანი სოლიდური ფასი ღირს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ამჟამად გასაყიდადაა გამოტანილი და 46 ათას ავსტრალიურ დოლარადაა შეფასებული. მეორე ასეთი ნახატი კი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ინახება.

მას შემდეგ, როდესაც ნახატის ნამდვილი ღირებულება შეიტყო, ბონერი შეეცადა კეიპელს დაკავშირებოდა, რომელიც სიდნეელი მსხვილი არტ-დილერი აღმოჩნდა. თუმცა მან ეს ვერ შეძლო. მისმა კომპანიამ კი გაავრცელა განცხადება, რომ აღნიშნული შეთანხმების კომენტირებას არ აპირებს.

ბონერის თქმით, თანხა, რომელიც მას შეეძლო მიეღო ნახატის გაყიდვიდან, მისი ნამდვილი ფასი რომ სცოდნოდა, მის ოჯახს ძალიან დაეხმარებოდა. თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კეიპელმა აღნიშნული გარიგება კანონის სრული დაცვით განახორციელა.

# განძის მაძიებელმა უიშვიათესი ვერცხლის მონეტები იპოვა



პოლონეთის ვარმინსკო-მაზურსის ვოევოდინაში განძის მაძიებელმა უიშვიათესი ათასი წლის ვერცხლის მონეტები იპოვა.

მხარეთმცოდნე იაცეკ დროზდოვსკიმ ქალაქ ილავას მახლობლად 13 ცალი ვერცხლის დენარიევი ლითონმაძიებელი ხელსაწყოს დახმარებით იპოვა. ისინი დაუყოვნებლივ გადაეცა ქალაქ ოსტრუდას მუზეუმს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ განძის მაძიებელი მე-11 საუკუნის დინარიებს გადააწყდა, რომლებიც მეფე სამბორ 1-ის მმართველობის დროს იყო დამზადებული.

– მონეტები გორაკზე მიწაში დაახლოებით 15 სანტიმეტრის სიღრმეზე იყო ჩაფლული. ჩვენ მხარეში ასეთი რამ დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მე კი ამით ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, – განაცხადა დროზდოვსკიმ.

# დათვმა ზოოპარკის ახალგაზრდა თანამშრომელი დაგლიჯა



ინდოეთში ჰიმალაურმა დათვმა ზოოპარკის 32 წლის თანამშრომელი დაგლიჯა, რომელიც მისი ვოლიერის დალაგებას აპირებდა.

აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევა ანდხრა-პრადეშის შტატის ქალაქ ვიშაკხაპატნამის ინდირა განდის სახელობის ზოოლოგიურ პარკში 27 ნოემბერს დილით მოხდა. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციამ დაადგინა, ნაგეშ ბაბუ დათვის ვოლიერში დასალაგებლად მივიდა. მას ვოლიერის იმ განყოფილების კარის ჩაკეტვა დაავიწყდა, რომელშიც იმ მომენტში მტაცებელი ცხოველი იმყოფებოდა. დათვი შენობიდან ვოლიერში გამოიჭრა და ახალგაზრდა მამაკაცს თავს დაესხა.

ხმაურზე დაწესებულების სხვა თანამშრომლებმა მოირბინეს, ცხოველი შენობაში შეაგდეს, ხოლო დაშავებული ბაბუ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადების თანახმად ზოოპარკის თანამშრომელს მძიმე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული თავის, მკერდის და სხეულის სხვა ნაწილებში.

ზოოპარკის ადმინისტრაციის განცხადების თანახმად, ტრაგიკული შემთხვევა დალუპულის დაუდევრობის შედეგად მოხდა, რომელმაც უსაფრთხოების წესები არ დაიცვა. ამის მიუხედავად, დალუპულის ოჯახი შტატის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტისგან ერთი მილიონი რუპიის ოდენობის კომპენსაციას მიიღებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან განმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბითაძემ გუნდი დაალაგა




ორლანდო მეჯიქს ნბა-ში ყველაზე გრძელი მოგებათა სერია აქვს. ფლორიდულმა გუნდმა ზედიზედ მე-8 მატჩი მოიგო და მილუოკისთან ერთად აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილს იყოფს.

გოგა ბითაძის გუნდმა მორიგი შეხვედრა შინ, ვაშინგტონ ვიზარსთან 139:120 მოიგო, რაშიც წვლილი ქართველ კალათბურთელსაც მიუძღვის. ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 23:43 წუთი გაატარა. ამ დროში ქართველმა 5-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. გოგას მონაგარმა 8 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება შეადგინა.

ორლანდოში 31 ქულით საუკეთესო იყო ფრანც ვაგნერი. 25 ქულა კოულ ენტონიმ, ხოლო 22 – ჯალენ საგსმა მიითვალეს.

არადა, სეზონის სტარტზე გოგა ბითაძეს ორლანდო მეჯიქის შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონდა და მცირე დრო ეძლეოდა. ყველაფერი შეცვალა ვენდალ კარტერის ტრავმამ.

კარტერ ჯუნიორმა სერიოზული ტრავმა ნოემბრის დასაწყისში მიიღო და მოედანს დეკემბრის მეორე ნახევრამდე ვერ დაუბრუნდება. კარტერი ბითაძემ უპრობლემოდ ჩაანაცვლა, რასაც თავად აღიარებს:

– გოგა მოედნის ორივე ბოლოში ძალიან ძლიერად გამოიყურება, კარგი მცველია და, რაც მთავარია, გუნდური მოთამაშე. რაც გოგამ სათამაშო დრო მიიღო, ორლანდოს დანარჩენი კალათბურთელებიც ზუსტად იმას აკეთებენ, რაც ევალებათ. ეს, NBA-ს კლუბებისთვის მართლაც იშვიათი ტენდენციაა. ასე რომ, ბითაძით ნამდვილად კმაყოფილები ვართ.

მედია იმასაც წერს, რომ გოგა ამ სეზონის ერთ-ერთ სიურპრიზად იქცა და სათამაშო დროის პრობლემა არც კარტერის დაბრუნების შემდეგ ექნება, რითიც ფლორიდელთა წინა ხაზი კიდევ უფრო სახიფათო გახდება.

# საქართველო სერბს ელოდება და ოლიმპიადას უმიზნებს

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის მეტოქეები კი გაარკვია, მაგრამ ჯერ ისევ ახალი მთავარი მწვრთნელის მოლოდინშია. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, საქართველოს ნაკრებს ახალი თავკაცი მალე ეყოლება.



სავარაუდო კანდიდატებს შორის არიან იტალიელი ანდრეა ტრინკიერი და სერბი ალექსანდარ ჯიკიჩი. თუმცა, იტალიელ სპეციალისტთან მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და სერბი მთავარ კანდიდატად რჩება.

52 წლის სერბს სანაკრებო გამოცდილება მწირი აქვს – 2014-15 წლებში ჩრდილოეთ მაკედონიას ავარჯიშებდა. თუმცა, საკლუბო კარიერა ბევრად მდიდარი აქვს: ჯიკიჩმა ბოლოს იერუსალიმის ჰაპოელ ქვეყნის თასი მოაგებინა, თავად კი წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მიიღო. ასევე უმუშავია ოლიმპიაში (სლოვენია), კრკაში (სლოვენია), ლიეტუვოს რიტასში (ლიეტუვა), პარტიზანში (სერბეთი), ბუდუჩნოსტსა (მონტენეგრო) და ესტუდიანტესში (ესპანეთი).

საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე სექტემბრის შემდეგ იმყოფება, როდესაც პოსტი ბერძენმა ილიას ზუროსმა დატოვა. უახლოესი მატჩები კი, გაისად, თებერვალში ელის, როდესაც ჩვენი გუნდი ევრობასკეტი 2025-ის კვალიფიკაციაში ჩაებმება.

შემდეგ იქნება პარიზის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპი. საფრანგეთის დედაქალაქში კალათბურთის ტურნირი 27 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება და 12 ნაკრები ჩავა. მათგან 8 უკვე გარკვეულია: მასპინძელი საფრანგეთი, სამხრეთ სუდანი, აშშ, კანადა, იაპონია, სერბეთი, გერმანია და ავსტრალია.

დარჩენილი ოთხი საგზურისთვის 24 გუნდი იბრძვის. მათ შორის არის საქართველოს ნაკრებიც, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპზე ლატვიისა და ფილიპინების ნაკრებებს ეთამაშება, შემდეგ კი ბრაზილია-კამერუნი-მონტენეგროს ჯგუფზე გადის.

ფიბამ ის 10 მატჩი დაასახელა, რომელთაც ივლისში დაგეგმილი ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის დროს განსაკუთრებით უნდა დავაკვირდეთ. ათეულში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით ერთი თამაში მოხვდა – ლატვიასთან:

– ლატვია-საქართველო ჯგუფის სასტარტო მატჩია, სადაც ასევე ფილიპინების ნაკრები მოხვდა. წლეულს, ორივე ევროპულ ქვეყანას, მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდათ, ახლა კი, ეცდებიან, ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვონ. საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე არასდროს გამოსულა, ლატვია კი მონაწილეთა შორის ერთადერთხელ, შორეულ 1936 წელს იყო. ბოლო მსოფლიოს პირველობაზე ლატვიამ მე-5 ადგილი დაიკავა და ამ მატჩის აშკარა ფავორიტად შეგვიძლია დავასახელოთ, მაგრამ მათზე ზეწოლაც გაცილებით დიდი იქნება, რადგანაც შინაურ კედლებში ითამაშებენ.

ფიბას ვერსიით, ყველაზე საინტერესო მატჩების ათეულში ასევე მოხვდა: ფინეთი-ბაჰამები, ფინეთი-პოლონეთი, ანგოლა-ლიბანი, ბრაზილია-მონტენეგრო, სლოვენია-ხორვატია, დომინიკები-საბერძნეთი, ეგვიპტე-დომინიკები, პუერტო რიკო-იტალია და კოტ დივუარი-მექსიკა.

# კვარა და ნაპოლი რეალთან დამარცხდნენ

ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მეორე სათამაშო დღე უხვგოლიანი და საინტერესო გამოდგა.

## ა ჯგუფი

თუკი ჯგუფიდან გასვლა სურდა, მანჩესტერს გალათასარაისთვის სტუმრად უნდა მოეგო, მაგრამ ერიკ ტენ ჰაგის გუნდმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრა. არადა, ალეხანდრო გარნაჩოს და ბრუნო ფერნანდეშის გოლებით მანჩესტერი მე-18 წუთისთვის 2:0 დაწინაურდა. შესვენებამდე ჰაკიმ ზიეშმა სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ მეორე ტაიმის სტარტზე სკოტ მაკტომინეიმ სხვაობა ისევ ორბურთიანი გახადა.

გალათასარაი ანდრე ონანამ იხსნა, რომელმაც შეცდომების მთელი კასკადი დაუშვა და გალათასარაიმ მნიშვნელოვანი ქულა დაიტოვა – 3:3.

ამავე ჯგუფში უმოტივაციო ბაიერნმა შინ დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენს ვერ მოუგო – 0:0. ჩვენებურს ტრავმის გამო არ უთამაშია.

ბაიერნი 13 ქულით პირველ ადგილზეა ფლეი ოფში გასულია. აი, მეორე ადგილისთვის დიდი ბრძოლაა: გალათასარაისა და კოპენჰაგენს 5-5 ქულა აქვთ, ხოლო მანჩესტერს – 4. ბოლო ტურში კოპენჰაგენი გალათასარაის მასპინძლობს, ხოლო მანჩესტერი შინ ბაიერნს დაუხვდება.

## ბ ჯგუფი

ჯგუფში ჩარჩა სევილია, რომელმაც შინ პსვ ეინდჰოვენთან ასევე ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და წააგო. ესპანელები სერხიო რამოსის და იუსეფ ენ-ნესირის გოლებით 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ სამი ქულა მეტოქეს გაატანეს. სევილიასთვის პრობლემები ლუკას ოკამპოსის გაძევების შემდეგ დაიწყო – რიცხობრივ უმცირესობაში ანდალუსიელებმა სამი გოლი გაუშვეს და ზედიზედ მესამედ წააგეს.

ლონდონის არსენალმა ფრანგული ლანსი 6:0 გაანადგურა და 12 ქულით არამარტო მერვედფინალის საგზური, არამედ პირველი ადგილიც გაინაღდა. პსვ-ს 8 ქულა აქვს და ჯგუფიდან უკვე გავიდა. ბოლო ტურში ლანსი-სევილიას მატჩი გაარკვევს ევროპა ლიგის საგზურის ბედს, ფრანგებს ქულაც ეყოფათ.

## ც ჯგუფი

ნაპოლიმ ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურში რეალთან მარცხი განიცადა – 2:4. ხვიჩა კვარაცხელიამ ჩემპიონთა ლიგაზე 13-თვიანი უგოლო სერია ვერ შეწყვიტა.

ნაპოლიმ იბრძოლა, მაგრამ უფრო მაღალმა სათამაშო კლასმა მაინც გადაწყვიტა მატჩის ბედი. არადა, მე-9 წუთზე კვარაცხელიას წამოწყებული შეტევა დი ლორენცომ და სიმეონემ გააგრძელეს, რომელიც გოლით დასრულდა.

ნეაპოლელთა უპირატესობა ორი წუთიც არ გაგრძელებულა – საპასუხო შეტევაში როდრიგომ ეფექტური გოლით გაათანაბრა. მერე ჯუდ ბელინგემის მოხდენილი თავური და რეალმა ტაიმი 2:1 მოიგო.

მეორე ნახევარი სტუმრებმა კარგად დაიწყეს და ანდრე-ფრანკ ზამბო ანგისამ გაათანაბრა. მალევე კვარაცხელია აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, დარტყმა შეეძლო, მაგრამ ცარიელ კართან მყოფი ვიქტორ ოსიმენისთვის პასის გაკეთება გადაწყვიტა, რაც გამოუცნეს და შანსი განიავდა.

მატჩის ბოლოს ჯერ ნიკოლას პასმა გაუტანა მერეტს შორი მანძილიდან, შემდეგ კი, ხოსელუმ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:2.

კვარაცხელია მოედანზე 87-ე წუთამდე იყო. პირველი გოლისას აქტიურობდა, რაც არც აპენინელ ჟურნალისტებს გამორჩენიათ, მაგრამ იტალიური მედიისგან ცუდი შეფასებები მიიღო. ძირითადად ოსიმენზე გაკეთებული პასის გამო.

ხვიჩა მაქსიმალური 6.5 ბალით შეაფასეს, მაგრამ იყო კიდევ უფრო დაბალი (5,5) შეფასებებიც.

აი, რას წერს იტალიური მედია:

– ქართველი ჯადოქარია, ვისგანაც ნაპოლიში ქუდიდან კურდღლის ამოღებას ელოდებიან. თუმცა, პირველ გოლზე დი ლორენცოზე პასის გარდა, კარგი მოქმედებები ძალიან ცოტა ჰქონდა. ეს რუდიგერის დამსახურებაცაა, რომელიც თავისი გამოცდილებით ახერხებდა ქართველის შეჩერებას. ხვიჩამ კიდევ ნახევარი ქულით ნაკლები დაიმსახურა იმის გამო, რომ 52-ე წუთზე კონტრშეტევისას არასწორი არჩევანი გააკეთა, რამაც ნაპოლის წინ გასვლას ხელი შეუშალა. ეს კვარა რეალის დონის არ იყო.

ამავე ჯგუფში ბრაგა უნიონს დაუზავდა – 1:1. შედეგად, ნაპოლიმ მერვედფინალის საგზური ჯერ ვერ გაინაღდა, რადგან ბრაგას 3 ქულით უსწრებს და ბოლო ტურში მასპინძლობს. პორტუგალიელებს ორბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებათ, სხვა ყველა შედეგი ნაპოლის იქნება.

## დ ჯგუფი

ამ ჯგუფში წინა ტურში გადაწყდა, რომ სოსიედადი და ინტერი მერვედფინალში ითამაშებდნენ. შედეგად, თავიც არ მოუკლავთ: სოსიედადი შინ ზალცბურგს დაუზავდა, ხოლო ინტერი პირველი ტაიმის მერე ბენფიკასთან 0:3 მარცხდებოდა, მაგრამ მეორე ნახევარში სიმონე ინძაგის გუნდმა 3 გოლი გაიტანა და ქულა მაინც მოიპოვა.

ბოლო ტურში ინტერი-სოსიედადის მატჩი პირველი ადგილის ბედს გაარკვევს, ხოლო ზალცბურგი-ბენფიკას დაპირისპირება ევროპა ლიგის საგზურს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ლევან მაისაშვილი: „ტვირთი ვერ ვზიდეთ“



2023 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლასთან დაკავშირებით, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ ლევან მაისაშვილისგან დეტალური ანგარიში მოისმინა.

ბორჯღალოსნების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ისაუბრა მსოფლიო თასისთვის მოთამაშეთა სელექციაზე, მოსამზადებელ შეკრებებზე, ვარჯიშებზე, მიზნებსა და იმ ხელისშემშლელ პირობებზე, რომელმაც გუნდს მიზნის მიღწევაში ხელი შეუშალა.

მსოფლიო თასზე მიზანი ოთხივე თამაშზე მოსაგებად გასვლა და ორი გამარჯვება იყო. სამწუხაროდ, გამარჯვების მოპოვება ვერ მოხერხდა: ავსტრალიამ 35:15, ხოლო უელსმა 43:19 მოგვიგო; ფრედ, 18:18 ვეთამაშეთ პორტუგალიას, ფიჯისთან კი, ნუგეშის ქულას დავჯერდით – 12:17.

ყველაზე მეტი დისკუსია სასელექციო პროცესმა და მოსამზადებელმა პერიოდმა გამოიწვია.

**ლევან მაისაშვილი:**

– მიუხედავად შეუსრულებელი მიზნისა, რომ მქონდეს არჩევანი, მიზნებსა და გეგმებში ბევრს არაფერს, ან ვერაფერს შევცვლიდი. ვთვლი, რომ გუნდი ყველა თამაშზე მოსაგებად თამაშობდა და, თუ სტატისტიკას და თანმიმდევრობას დავაკვირდებით, ადვილი დასანახია, რომ არასდროს ყოფილა, ჩვენს ნაკრებს მსოფლიო თასზე ყველა თამაშში მოსაგებად ებრძოლა.

სამივე წაგებული მატჩის მოგებამდე, ძალიან ცოტა დაგვაკლდა. შევცვალეთ სტანდარტი, პირველ რიგში, საკუთარი თავისათვის. დღეს ყველა მოთამაშესა და მომავალი სტაფის წევრს, მხოლოდ ერთი სტანდარტი შეიძლება ჰქონდეს – თამაში ყველა გუნდთან მოსაგებად დაგეგმოს. თუ გულწრფელები ვიქნებით და წარსულს გადავხედავთ, ამაში დავრწმუნდებით. ჩვენ დავუმიზნეთ ოთხივე თამაშს, ვერ შევძელით, მაგრამ არ ვთვლი, რომ მიზნები ან მოლოდინები მცდარი იყო. ვერ ავწიეთ ის ტვირთი, რაც მხრებზე დავიდეთ. ბევრ რამეში არ გაგვიმართლა. ალბათ თავგანწირვაც დაგვაკლდა. მაგრამ მცდელობა ნამდვილად გვქონდა. პასუხისმგებლობას სრულად ვიღებ შედეგებზე.

გამგეობის სხდომაზე გაიცა ის რეკომენდაციები, რომელსაც ბორჯღალოსნების ახალი მთავარი მწვრთნელი უნდა აკმაყოფილებდეს.

თავად მაისაშვილი მიიჩნევს, რომ ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი პარალელურად უნდა მუშაობდეს შავ ლომში, რაზეც გამგეობის წევრებიც თანხმდებიან და სანამ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა გაირკვევა, მაისაშვილი მოვალეობის შემსრულებლად რჩება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. თვალის დაავადება, მხედველობის გაორება; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კამათის, პაექრობის ხელოვნება; 4. ამერიკული სიგარეტი; 7. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. მდინარე ჩინეთში; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 6. ქართველი სუმოისტი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 22. მთავრობის წევრი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლეგრანი; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. გოია.

**თარაზულად:** 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. ბუკერი; 11. ვაშლი; 13. ებქანი; 15. ღვინიო; 18. პერში; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ენოლოგია; 2. ლეონი; 3. აპელაცია; 4. ყორჩები; 7. გიუმი; 9. ნივეა; 12. ესკალატორი; 14. ფიორდი; 15. ფეიქარი; 17. მანდატი; 20. ნეონი.

**თარაზულად:** 5. ინტერესი; 6. სოპრანო; 8. სანაცია; 10. დემენცია; 11. ფიქცია; 13. ანანასი; 16. კარაბინი; 18. წაბლი; 19. აიეტი; 21. ბერდია; 22. ერდოღანი; 23. პოსტერი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

1 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7086 | ევრო — 2.9583 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4261 | 100 რუსული რუბლი — 3.0567 |

**ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# თომას მიულერი: „კოპენჰაგენი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა“



მიუნხენის ბაიერნმა საკუთარ მოედანზე კოპენჰაგენი მიიღო და მათი დამარცხება ვერ მოახერხა. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა, თომას მიულერმა თქვა, რომ კოპენჰაგენი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა და ასეთი გუნდის დაცვის გარღვევა იოლი არ არის:

– მათ ტაქტიკურად ყველაფერი სწორად გააკეთეს და ასეთ გუნდთან გამკლავება საკმაოდ რთულია, თუმცა ჩვენ გვქონდა მომენტები და ეს მომენტები უნდა გამოგვეყენებინა.

# კვარაცხელია იტალიურმა მედიამ გააკრიტიკა



ნაპოლიმ რეალთან წააგო 2:4 და ხვიჩა კვარაცხელიამ მოედანზე 90 წუთი დაჰყო. ქართველმა შემტევმა პირველ გოლში აქტიური მონაწილეობა მიიღო, თუმცა შემდეგ უკვე ნაკლებად ჩანდა მოედანზე, ხოლო მეორე ტაიმში კარგი მომენტი გაუშვა ხელიდან.

იტალიურ მედიაში ხვიჩა გააკრიტიკეს და რამდენიმე გამოცემამ დაწერა, რომ კვარაცხელიამ ვერ გამოავლინა ლიდერული თვისებები და ფანები მისგან გაცილებით მეტს ელიან. მიუხედავად მარცხისა, ნაპოლის ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფში გასვლის კარგი შანსი აქვს და ბოლო შეხვედრაში მათ ფრეც ხელს აძლევს.

# ერიკ ტენ ჰააგი: „მეტოქეზე უკეთესად ვითამაშეთ“



მანჩესტერ იუნაიტედმა სტუმრად გალათასარაისთან ფრე 3:3 ითამაშა და მათ ძალიან გაუჭირდებათ ფლეიოფში გასვლა. მანჩესტერი მთელი მატჩის მანძილზე იგებდა და მათი მწვრთნელის, ერიკ ტენ ჰააგის აზრით, გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა:

– მეტოქემ შეცდომები არ გვაპატია, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მანჩესტერი ბოლომდე იბრძოლებს. გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ და ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნიკოლოზ წულუკიძე, ნიკა საბაშვილი და ნიკა ნიკვაშვილი დააჯილდოვეს



თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძეს, რეჟისორ ნიკა საბაშვილსა და პიანისტ ნიკა ნიკვაშვილს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია გადაეცათ.

ჯილდო ხელოვანებს მწერალთა კავშირმა მიანიჭა. პოეტმა მაყვალა გონაშვილმა რუსთაველის ეროვნულ თეატრში გამართული წარმოდგენის შემდეგ მათ ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და მწერალთა კავშირის სახელით დააჯილდოვა.

# კატო ჯავახიშვილი: „ჩვენი ქვეყანა იმსახურებს ევროპული კულტურის ნაწილად ყოფნას“



პოეტი კატო ჯავახიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროპული კულტურის ნაწილი აუცილებლად გახდება:

– მე ვნახე საქართველო პარიზში. იმედიანი, ძლიერი, საინტერესო საქართველო და ამ საქართველოში თავსდება ერთი საუკუნის წინ ამ საოცარი ქალაქის ლაბირინთებში გაფანტული ქართული ემიგრაცია, თავისი უსაშველო ტკივილებითა და მოლოდინებით, 90-იანების საქართველო – ზურგზე ერთი ნაბიჯით გასწრებული შიმშილის ტომარამოგდებული და დღევანდელი საქართველო – ქვეყანა, რომელსაც ხვალინდელი დღის სჯერა. ყველას იტევს ეს საოცარი ქალაქი – დაცემულს, სუსტს, ძლიერს, განწმენდილს, კურტიზანს. ესაა მისი ხიბლი. ადამიანური კათარზისის შესაძლებლობა.

ეს ფესტივალი ჩემთვის შვეიცარიაში დაიწყო. ქვეყანაში, სადაც დავინახე, როგორ იქსელებოდა ჩემთვის, ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ქართველისთვის, შესაძლებლობების გზები. სამუდამოდ მადლიერი დავრჩები ამ ქვეყნის და იმ ადამიანების, რომლებმაც ასე დაცემულს, ასე სუსტს და დანაწევრებულს გამთლიანების შესაძლებლობა მომცეს. იქვე გადაწყდა ჩემი მონაწილეობა ფესტივალში. ფესტივალი კი, თავისი წიგნის პრეზენტაციებით, კინოჩვენებებით, საუბრებით, კონცერტებით, გამოფენებით, მალაზიებზე გამოკრული აფიშებითა თუ ბილბორდებით საოცარი იყო და ყველა მონაწილეს თუ მსმენელს გვაერთიანებდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ – ჩვენი ქვეყანა იმსახურებს ევროპული კულტურის ნაწილად ყოფნას, იმსახურებს და მჯერა, ასეც იქნება. დიდი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც ფესტივალი დღესასწაულად აქცია. ნატაშა ლომოურს და მის გუნდს ამ ყველაფერში მონაწილეობისთვის, ხელშეწყობისთვის, სიხარულის გაზიარებისთვის. მადლობა ჩემს მთარგმნელს, რომელსაც პარიზში პირველად ჩავეხუტე.

ჰო, პარიზში კათარზისისთვის ჩავედი. დაცემული ადამიანების ღმერთი ვიპოვე და ვუთხარი, რომ ეს ხორბლისმარცვლისოდენა ქვეყანა უნდა გადარჩეს მსოფლიო რუკაზე. მიყვარხართ! მადლობა პარიზს, შვეიცარიას, ჩემს საქართველოს!

# ნიაზ დიასამიძე 95 წლის გახდებოდა



თბილისის კოლორიტი ნიაზ დიასამიძე 95 წლის გახდებოდა.

გამორჩეული ნიჭის მქონე შემოქმედი თეა ფირცხალავამ გაიხსენა:

– ჩვენს ნიაზ დიასამიძეს 95 წელი შეუსრულდებოდა... „მე თბილისის მოტრფიალე ვარ, იმის სახეს გულში ჩავიკრავ, თბილისის ლბილ მიწას ვენაცვალე, უბერებელ მტკვარს გავცქერი კვლავ....“ – ეს სიტყვები დედაქალაქზე უზომოდ შეყვარებულ პოეტს, ყველასთვის ცნობილ და მაინც უცნობ ნიაზ დიასამიძეს ეკუთვნის, კაცს ზეიმს, კაცს – სიყვარულისა და მეგობრობის ეტალონს, რომლის სახელი ყველა ქართველმა, განსაკუთრებით, თბილისელმა და კიდევ უფრო განსაკუთრებით – ყველა ვერელმა იცის და იგი ქართველობის, როგორც ასეთის, ერთ-ერთ სიმბოლოდ მიაჩნია...

მასზე არაერთხელ დავწერე და დღესაც გავიხსენებ: „მე დავავიწყდები, შენ დაავიწდები, ის არ ავიწყდება თბილისს...“ ეს სიტყვები „ვერის უბნის“ მეხოტბემ, გიზო ნიშნიანიძემ ნიაზზე თქვა და თბილისის ერთი უბნის ისტორია ხელის გულზე გადაგვიშალა, მერე კი ქალაქის ნაღდი კოლორიტები მათთვის დამახასიათებელი გულიანობით გაგვაცნო და შეგვაყვარა, ისინი, რომელთა სახელებსაც თითო-ოროლა კაცი თუ იცნობდა საქართველოში.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1928 წლის 15 ნოემბერს თბილისში ქართულ ლეგენდად ქცეული ნიაზ სულეიმანის ძე დიასამიძე დაიბადა – მრავალმხრივი ნიჭით დახუნძლულ-მოსიარულე ქართველი კაცი, კაცი-ხელოვანი, რომლის თითოეულ ნაბიჯში და ნაკეთებ საქმეებში მხოლოდ სიყვარული იკითხებოდა, იქნებოდა ეს ფორტეპიანოზე დაკვრა თუ სიმღერა, არქიტექტურა, ძერწვა თუ ხატვა, ან ქუჩების „დალაშქვრა“ გამორჩეული, ხშირად საკუთარი ხელით შეკერილი სამოსითა და „სხვანაირი“ მიხვრა-მოხვრით, ან თუნდაც ისე, სასხვათაშორისოდ წამოსროლილი ხუმრობებით, რომლებიც კარგა ხანია დაფრთიანდნენ და ალალად დაფრენენ ქართულ ცაზე. და, რაც მთავარია, დღეს დაიბადა კაცი-პოეტი, რომლის „მუხამბაზზეც“ დაიწერა გოგი ცაბაძის სიმღერა, რომელიც შეყვარებულს ამღერებს, ჩემსავით შვილწასულ დედას კი ცრემლების ზღვაში ახრჩობს: „რა ვიღონო, რით ვუშველო იარებს? ეგ თვალები სულ ჩემ თვალწინ ტრიალებს... ცრემლის ნამი, რა ვქნა, მე არ მასვენებს, ლხინის დროსაც ეგ სახე არ მასვენებს... სულის ვარდო, იცი რა ფაქიზი ხარ? თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ...“

42 წლის ნიაზ დიასამიძე 1970 წელს გარდაიცვალა. მისთვის თბილისი ღმერთის ტოლფასი იყო, ამიტომ, იმქვეყნიურ საქართველოში გადასვლამდე, ცოდვებიც თბილისის წინაშე მოინანია, გულწრფელად მოინანია. ღმერთი კი გულწრფელ ადამიანებს ყოველთვის უნდობს: „სულ არ მინდა ცხოვრების გზა ნაქარგი, ფიროსმანის შესანდობარს ვსვამ. ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტევოს ჩემმა თბილისმა.“

ამ წერილს დავასრულებ „ნიაზ დიასამიძის ეპიტაფიით“, რომელიც ტარიელ ჭანტურიამ მისი საფლავის ქვაზე და(ა)წერა: „შხამიანი გველის გამოცნობა ვიცოდი, შხამიანი კაცის გამოცნობა – არა! გამოვწურე სხეულს სულის ძელგი ღვინო და თბილისის მიწას ჩავაბარე ტარა.“

# ადრიანო ჩელენტანოს ორეული ქუთაისში ჩამოდის



იტალიური კინოსა და ესტრადის ვარსკვლავი ადრიანო ჩელენტანო ქუთაისში ჩამოვა და კონცერტს გამართავს.

9 დეკემბერს „ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ ქუთაისში ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად მორიგ ღონისძიებას გამართავს. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში ადოლფო სებასტიანი – ადრიანო ჩელენტანოს ორეული სპეციალურ შოუს მართავს. კონცერტიდან შესული თანხა ბერი ანდრიას ფონდის შვილობილებს მოხმარდებათ.

– ჩვენ ერთად გადავარჩენთ ბევრ სიცოცხლეს! – ასეთია ბერი ანდრიას ფონდის ლოზუნგი, რომელიც სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებით ცდილობს სიმსივნით დაავადებული პატარების გვერდში დგომას.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორები ირწმუნებიან, ამ კონცერტის შემდეგ, ადრიანო ჩელენტანო მის გულშემატკივრებს თავიდან შეუყვარდებათ.

ადრიანო ჩელენტანო მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული მომღერალი, არტისტი და უნიკალური პიროვნებაა. ის არის კინორეჟისორი და სცენარისტი, მუშაობს ტელეწამყვანად და ვიდეო რედაქტორად.

– არის თუ არა ვინმე ისეთი ცნობილი თეატრების, კინოსა და შოუების სამყაროში? ჩელენტანო აბსოლუტურად წარმოუდგენელია ყველაფერში, რასაც აკეთებს. დღეს ჩელენტანოს მრავალი თრიბიუთი და დოპელგენერი არსებობს, მაგრამ ყველაზე ცნობილი არის ჩელენტანოს შოუ ადოლფო სებასტიანის მონაწილეობით. ადოლფო სებასტიანის შოუ-პროგრამა სწრაფად გახდა პოპულარული როგორც იტალიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ის ასევე მოიწონა თავად ადრიანო ჩელენტანომ, – ნათქვამია კონცერტის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ადრიანო ჩელენტანოს ორეულის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 35-100 ლარია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ანრო ცირეკიძემ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად 6 თვეში ისწავლა



75 წლის ანრო ცირეკიძემ, რომელიც ოკრიბის მკვიდრია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. მან პოემა 22 წლის ასაკში შეისწავლა და ამისთვის 6 თვე დასჭირდა.

ქალბატონმა ანრომ 75 წლის ასაკში მეექვსედ გაიმარჯვა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსში. 1669 სტროფი, ანუ მთლიანი პოემის ზეპირად გადმოცემას ტვ. რიონის ეთერში 6 საათი, 12 წუთი და 13 წამი დასჭირდა. მაყურებელი დაიწყებდა პირველ სამ სიტყვას, ნებისმიერი თავის ნებისმიერი სტროფიდან და ანრო ცირეკიძე ზეპირად აგრძელებდა.

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საქართველოს ეროვნული გმირი; 2. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 3. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 4. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 17. ხორცისგულიანპი სვანური ორცხობილა; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 5. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 15. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. მოკლე შარვალი; 21. პარფიუმერიულ საშუალებათა სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 23. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

